ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

თორნიკე შარაშენიძე: „პატრიოტთა ალიანსის“ მიზანია, პრორუსი ამომრჩეველი წაართვას ნინო ბურჯანაძეს“ გვ.3



5 ოქტომბრიდან



რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ხუთშაბათი, 5 ოქტომბერი, 2017

№236 (7470)

ფასი: 50 თეთრი

# „ბოკერიას კლანს კვირიკაშვილი მფარველობს“





ლადო სადღობელაშვილი: „პატრიოტთა ალიანსი“ ივანიშვილის მითითებით დაუპირისპირდა „ევროპულ საქართველოს“ გვ.2





## დავით ლორთქიფანიძე ნაციონალებზე: „ყველა მსჯელობს თავისი გათახსირებულობის ხარისხით“

გვ.4

## შეეწირება თუ არა ციანიდის საქმეს პროკურორი ჯარჯი წიკლაური



გვ.3



მარგველაშვილმა და უმრავლესობამ საერთო ენა გამონახეს გვ.2

გვ.4

## ვალერი გელბახიანი: „მოგვწონს ეს თუ არა, სააკაშვილი ისევ დიდ როლს ასრულებს ქართულ პოლიტიკაში“



ვინ არის კონსტანტინე შარაშენიძე და რა თანხების გაფლანგვას ედავება მას კონტროლის პალატა? გვ.5



## სამართალი

გვ.7



გუკა რჩეულიშვილი: „დაზარალებულებს შევთავაზეთ გამოსავალი, ახლა მათი გადასაწყვეტია, თანახმა არიან თუ არა“



მერაბ ღლონტი... ღლობერიძეს ოპერაციას უკეთებენ



ბათუმში ნარკოდანაშაულისთვის თურქი ცოლ-ქმარი დააკავეს

## ეკონომიკა

გვ.6

ნიკა ქურდიანი: „თუ გარკვეული წესები არ დადგინდა, ბაზარზე იქნება ქაოსი“



ლაშა პაპაშვილი: „ბიუროკრატია ბიზნესს გარკვეულ პრობლემებს უქმნის“



პროფესორმა ელგუჯა ტარტარაშვილმა სენსაციური ოპერაცია ჩაატარა



ISSN 1987-9385

**2** კატალონია ესპანეთისგან დამოუკიდებლობას 9 ოქტომბერს გამოაცხადებს

**6** ენერგეტიკის მინისტრს ახალი მოადგილე ჰყავს

**7** რუსთავში 12 წლის გოგონაზე 40 წლის კაცმა იძალადა

**5** კობა გვენეტაძე: „2017 წელს საქართველოში ეკონომიკური ზრდა 4%-ზე მაღალი იქნება“

# „ბოკერიას კლანს კვირიკაშვილი მფარველობს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ ლანძღავენ რესპუბლიკელები დავით უსუფაშვილს, რატომ აღარ ახსოვთ სააკაშვილი, ვინ დგას ბოკერიას უკან, რა მიზანი აქვს „პატრიოტთა ალიანსს“, შეეშინდათ და თუ არა ქართული მარშის წევრებს შიმშილობის დაწყება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ქართული მარშის ერთ-ერთი ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.





## ლადო სადღობელაშვილი: „პატრიოტთა ალიანსი“ ივანიშვილის მითითებით დაუპირისპირდა „ევროპულ საქართველოს“



***– ლადო, თქვენ სექტემბრის შუა რიცხვებში ჩვენთან საუბარში თქვით, რომ 22 ან 23 სექტემბერს დაიწყებდით სასიკვდილო შიმშილობას. უკვე 5 ოქტომბერია და შიმშილობაზე ხმას არ იღებთ, არავის შიმშილობა და, მით უმეტეს, სიკვდილი არ მინდა, მაგრამ მაინტერესებს, რატომ არ მიმართეთ პროტესტის უკიდურეს ფორმას. შეგეშინდათ და გადაიფიქრეთ თუ ხელისუფლებისგან მიიღეთ პირობა, რომ თქვენი მოთხოვნები შესრულდება?***

– არც შიმშილობის დაწყება გადაგვიფიქრებია და არც ხელისუფლებას მოუცია იმის პირობა, რომ ჩვენს მოთხოვნებს შეასრულებს. ჩვენ მთავრობას გავუგზავნეთ მოთხოვნები და პასუხის გასაცემად 10-დღიანი ვადა მივეცით. მათგან პასუხს 5 ოქტომბერს ველოდებით.

შიმშილობა ისევ ძალაში რჩება, მაგრამ „პატრიოტთა ალიანსს“ რომ ვუყურებ, ვხვდები, როგორ გაბითურდა ბრძოლის ეს ფორმა. არადა საქართველოში ყველას ახსოვს მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას დროინდელი შიმშილობა. ეს ალიანსელები კი არ შიმშილობენ, არამედ 3 დღეში ერთხელ ცვლიან მოშიმშილეებს. მორიგეობით შიმშილობა ნამდვილად არ გამიგია.

***– არც 3 დღით შიმშილობაა პატარა საქმე, თქვენ ჯერ ერთი დღეც ვერ იშიმშილეთ.***

– მოვა დრო და ყველას ვაჩვენებთ, რას ნიშნავს ნამდვილი შიმშილობა. სიმართლე გითხრათ, ამ დღეებში გვქონდა საუბარი, რომ ღირს კი ამ ვითარებაში შიმშილობა. ხელისუფლებამ ისიც კი იკადრა, რომ მართული ოპოზიცია დასვა პარლამენტის წინ საშიმშილოდ.

***– გაქვთ რაიმე მტკიცებულება, რომ ალიანსი ხელისუფლებამ დასვა საშიმშილოდ? ეგრე ქართულ მარშზეც ამბობენ, რომ ვიღაცის მიერ იმართებით.***

– ჩვენზე იმდენ რამეს ამბობენ... რაც შეეხება ჩემს მოსაზრებას ალიანსთან დაკავშირებით, დარწმუნებული ვარ, რომ მთელი საქართველო ასე ფიქრობს. ის, რაც პარლამენტის წინ ხდება, ეს არ არის შიმშილობა, ეს არის ვაჭრობა – ალიანსი „ოცნებისგან“ საკრებულოებში ადგილებს ითხოვს.

***– ამბობთ, საშიმშილოდ ხელისუფლებამ დასვაო, მერე ალიანსი ევაჭრებაო და თუ ხელისუფლების მითითებას ასრულებენ, ვაჭრობა რაში სჭირდებათ.***

– ეტყობა, საჭიროა და იმიტომ. სამწუხაროა, რომ ამ ხალხმაეროვნულ შიმშილობას პეწი დაუკარგა. მე „ოცნების“ კულუარებიდან ვიცი, რომ პატრიოტები თბილისის საკრებულოში 3 ადგილს ითხოვენ. ისიც ნიშანდობლივია, ეს პარტია ხელისუფლებისგან ბოკერიას გასამართლებას რომ ითხოვს.

რა ბოკერია ხალხო, რის გივი თარგამაძე? აქცენტები ხელისუფლებაზეა გადასატანი. „ქართულმა ოცნებამ“ შეიტყაპუნა ის, რომ ბოკერია არ გასამართლდება. ამის გამო ხელისუფლებას აუცილებლად მოსთხოვს ხალხი პასუხს.

თვალშისაცემია ისიც, რომ ნაციონალებს აღარავინ აღარ ახსენებს. არც ეს გახლავთ შემთხვევითი ამბავი.

***– თქვენი აზრით, რატომ აღარ ახსენებენ ნაციონალებს?***

– ამას მარტივი ახსნა აქვს. იყო „ოცნება“, ყოფილი ხელისუფლება და პატრიოტთა ალიანსი. ეს პარტიები პირველ სამ ადგილს იკავებდნენ პოლიტიკურ მარათონში. შარშან ნაციონალები შუაზე გაიყვნენ და პატრიოტთა ალიანსმა მესამე ადგილიდან მეოთხეზე გადაინაცვლა. პატრიოტთა ალიანსი უპირისპირდება მესამე ადგილზე მყოფ ბოკერიას გუნდს და მის ჩაძირვას ცდილობს.

ერთ საინტერესო ინფორმაციას მივაწვდი თქვენს მკითხველს. „ოცნების“ სამზარეულოში ამაზე აქტიურად საუბრობენ. პრემიერ კვირიკაშვილის პროექტი და პიროვნული გადაწყვეტილება ყოფილა ის, რომ ნაცმოძრაობას ბოკერიას ფლანგი გამოყოფოდა. „ევროპული საქართველო“ ფაქტიურად კვირიკაშვილის ფრთის ქვეშ არიან შეფარებული.

პატრიოტთა ალიანსის ლიდერები თავის გამოსვლებში ძირითადად კვირიკაშვილს და ბოკერიას ლანძღავენ. ამტკიცებენ, რომ საქართველოში არაა არაფორმალური მმართველობა და ივანიშვილი არაა არაფორმალური მმართველო.

***– ამბობთ, რომ ბოკერიას გუნდი კვირიკაშვილის ფრთის ქვეშ არის. არადა ადრე ამბობდით, რომ ბოკერია ივანიშვილს გაურიგდა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ.***

– როდესაც კაცი პრემიერად მოდის, მას მოაქვს თავისი სქემა, თუ როგორ აპირებს პოლიტიკის წარმართვას. კვირიკაშვილის ეს სქემა ბიძინამაც მოიწონა, პრემიერმაც გამოყო ბოკერია და ნაცმოძრაობა შეასუსტა.

ახლა, ეტყობა, ბიძინას აღარ მოსწონს „ევროპული საქართველოს“ ქმედებები და ბოკერიას ფრთას პატრიოტები დაატაკა. ამ დაპირისპირებით ისინი 2 კურდღელს იჭერენ – ივანიშვილის დავალებასაც ასრულებენ და კონკურენტსაც აჩოჩებენ მესამე ადგილიდან.

სამწუხაროდ, მათ ინტელექტუალური რესურსი არ ჰყოფნით ამ გეგმის განსახორციელებლად. „ევროპულ საქართველოში“ ისეთი შებერტყილები არიან, მათთვის ტვინით მოგება იოლი არ იქნება. ეს ტიპები 9 წელი მართავდნენ ქვეყანას და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჰებელსი ბოკერია ჰყავთ იქ.

***– ზემოთ აღნიშნეთ, რომ ნაციონალებს აღარავინ ახსენებს, მაგრამ ნაციონალებმა შეახსენეს ხალხს თავი და აქციები დაიწყეს.***

– ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ესეც „ოცნების“ მოფიქრებული გეგმის ნაწილია. ყოფილი ხელისუფლება, როგორც წესი, არჩევნების წინ აქტიურდება ხოლმე. „ოცნება“ მათ ყველანაირად ხელს უწყობს, რადგანაც საარჩევნოდ მათ ბუას თემის წამოწევა სჭირდებათ. ხალხს ეუბნებიან, ჩვენ თუ არ აგვირჩევთ, ესენი დაბრუნდებიან და ცოცხებს გაგვიყრიან.

***– დავით უსუფაშვილზეც მინდა გკითხოთ. როცა ის რესპუბლიკური პარტიიდან წამოვიდა, თქვენ იყავით პირველი, ვინც თქვა, რომ ის გახდებოდა ივანიშვილის სატელიტი. პარლამენტის ექსსპიკერის გადაწყვეტილებას თავიდან რესპუბლიკელები მშვიდად შეხვდნენ, ბოლო ერთი კვირა კი მას გამუდმებით ესხმიან თავს და ყოფილი პრემიერის სატელიტად მოიხსენიებენ. რამ გაამწარა ესენი?***

– დღემდე იმ აზრზე ვარ, რომ დავით უსუფაშვილი არის ბიძინა ივანიშვილის პროექტი. მე ის მაინტერესებს, რატომ დუმდნენ ამაზე აქამდე რესპუბლიკელები. მათ ჩემზე უკეთ იცოდნენ, თუ რატომ წამოვიდა უსუფაშვილი მათგან.

მე ვიცი. რატომაც აყვირდნენ ახლა რესპები, მათ დაინახეს, რომ უსუფაშვილი პირადად მათი პარტიისთვის წარმოადგენს საფრთხეს და ამიტომაც დაესივნენ. რესპუბლიკელებისგან განსხვავებით, უსუფაშვილი და მისი გუნდი კონტროლირებადია.

***– უსუფაშვილის გუნდში მისი თანამეცხედრეც მოიაზრება. თინა ხიდაშელზე იმის თქმა, რომ კონტროლირებადია, ცოტა უხერხულია.***

– ვაიმე! თინას აქვს თავისი ბიზნესი და მას მიხედვა სჭირდება, გენაცვალე. იმისთვის, რომ ბიზნესი განავითარო, ვიღაცას თავი უნდა დაუხარო.

თინადან ისევ ივანიშვილის პროექტ უსუფაშვილზე გადავალ. ჩვენ ვხედავთ, რომ „ოცნების“ მერებად და გამგებლებად ნამუშევრები უეცრად უსუფაშვილის საარჩევნო სიაში აღმოჩნდნენ. ეს ტიპები ბოლო 3-4 წლის მანძილზე იმ რეგიონებს ჭამდნენ, სადაც მუშაობდნენ. მათ ბევრი ფული იშოვეს და ახლა ამ ფულს უსუფაშვილს მოახმარენ.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ არჩევნების შემდეგ, ეს პარტია კვალიფიციური სუბიექტი გახდება. თავად უსუფაშვილი არჩევნებში მონაწილეობს, მაგრამ კარდაკარ არ დარბის და რეალურად თავს ინახავს. მათ საკმაოდ სწორი სტრატეგია აირჩიეს.

***– სწორი სტრატეგია რატომ არის?***

– მესამეხარისხოვან არჩევნებზე სირბილი საჭირო არ არის. ის თავის არსებობას აფიქსირებს. ჩემი აზრით, უსუფაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გააქტიურდება და მაშინ გახდება სხვა ოპოზიციური პარტიების სამიზნე.

# მარგველაშვილმა და უმრავლესობამ საერთო ენა გამონახეს

შორენა მარსაგიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობა და პრეზიდენტი მარგველაშვილი გუშინ, 4 ოქტომბერს, ერთმანეთს მშვიდობიანად დასცილდნენ. პრეზიდენტის რეზიდენციაში გამართული შეხვედრის შემდეგ მხარეებმა განაცხადეს, რომ კონსენსუსს 2 საკითხზე მიაღწიეს.

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მამუკა მდინარაძის თქმით, პრეზიდენტმა მათ თავისი საბოლოო გადაწყვეტილება არ ამცნო. ამის მიუხედავად, ის შეხვედრით კმაყოფილია.

– ყველანი ვთანხმდებით, რომ ვენეციის კომისიასთან შეთანხმებულ ორ საკითხზე კონსენსუსია და სადავო საკითხები არ არსებობს. ახლა ჯერი პრეზიდენტზეა. ვნახოთ, გადაწყვეტს თუ არა, რომ ეს ორი საკითხი ასახოს თავის შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ეს კონსენსუსი არ იქნა გათვალისწინებული, ჩვენ ვიფიქრებთ ვეტოს დაძლევაზე. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რამდენიმე დღეში გაახმოვანებს საბოლოო გადაწყვეტილებას; ასევე, არ უთქვამს, რომ ეს დაკავშირებულია ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნასთან, – აღნიშნა მდინარაძემ.

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი ანა დოლიძე შეხვედრით კმაყოფილია. მისი თქმით, შეხვედრამ კონსტრუქციულ და საქმიან გარემოში ჩაიარა.

როგორც დოლიძემ მედიასთან საუბარში განაცხადა, საპარლამენტო უმრავლესობამ საკუთარი პოზიციები წარმოადგინა იმ ორ პუნქტთან დაკავშირებით, რომლებიც უმრავლესობას სურს, რომ პრეზიდენტის ვეტოში იხილოს.

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის განცხადებით, ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ დიალოგი დაიწყო. დიალოგს პრეზიდენტი ოპოზიციასთანაც აპირებს.

– დაწყებულია ძალიან კარგი თანამშრომლობა, კონსტრუქციული პროცესი. რა შედეგებამდე მიგვიყვანს ეს, რა თქმა უნდა, რთული სათქმელია, რადგან პროცესი გრძელდება. აქ, ბუნებრივია, ბევრი მხარეა ჩართული.

4 ოქტომბერს წარმოდგენილი იყო უმრავლესობა საკუთარი პოზიციებით. პრეზიდენტი კონსულტაციებს ოპოზიციურ პარტიებთანაც აწარმოებს, ვინაიდან ქმედითი დემოკრატიისთვის ჩვეულებრივი აუცილებელი ნაბიჯებია. ამიტომ, როგორ შედეგებს მოგვიტანს, ამას მომავალი გვიჩვენებს, – განაცხადა ანა დოლიძემ.

მან ჯერ არ იცის, რამდენად კონსტრუქციულ ფორმატში გაგრძელდება მომავალში პრეზიდენტის და უმრავლესობის თანამშრომლობა. მარგველაშვილი და „ქართული ოცნება“ სიამტკბილობას დიდხანს ვერ უძლებენ.

რაც შეეხება ოპოზიციას, მისმა ლიდერებმა გუშინ, 4 ოქტომბერს, კონსულტაციები გამართეს.

ლეიბორისტების ოფისში გამართული შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

ოპოზიციის მიერ შექმნილი ლიდერთა საბჭო შეთანხმდა, რომ საარჩევნოდ შექმნიან ერთიან სისტემას, ასევე მოხდება ადამიანური რესურსის გაერთიანება არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ. ოპოზიცია შეთანხმდა, რომ მისი ქმედებები არჩევნების პერიოდშიც და შემდგომ დღეებშიც კოორდინირებული იქნება.

# კატალონია ესპანეთისგან დამოუკიდებლობას 9 ოქტომბერს გამოაცხადებს




კატალონია ესპანეთისგან დამოუკიდებლობას 9 ოქტომბერს გამოაცხადებს.

„როიტერსის“ ცნობით, ამის შესახებ ინფორმაციას კატალონიის რეგიონული მთავრობიდან წყარო ავრცელებს.

მანამდე ავტონომიის პრეზიდენტმა კარლეს პუჩდემონმა განაცხადა, რომ კატალონია დამოუკიდებლობას უახლოეს დღეებში გამოაცხადებს. მისი თქმით, შესაბამის ბრძანებას რეგიონის მთავრობა კვირის ბოლომდე გამოსცემს, ოფიციალურ მადრიდთან კი მოლაპარაკებები ამ დრომდე არ შემდგარა.

ესპანეთის მეფემ, ფელიპე მეექვსემ მოსახლეობას ტელევიზიით მიმართა და ადგილობრივ ხელისუფლებას უპასუხისმგებლო უწოდა.

შეგახსენებთ, ესპანეთის მთავრობისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკანონიერად ცნობის მიუხედავად, 1 ოქტომბერს კატალონიაში დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი რეფერენდუმი ჩატარდა. ხმის მიცემა ესპანურ პოლიციასთან დაპირისპირებისა და შეტაკებების ფონზე მიმდინარეობდა. შეტაკებების შედეგად, ბოლო მონაცემებით, 800-ზე მეტი ადამიანი დაშავდა.

კატალონიის მთავრობის განცხადებით, რეფერენდუმში მონაწილეთა უმრავლესობამ ხმა კატალონიის დამოუკიდებლობას მისცა. ესპანეთის ხელისუფლება კატალონიის რეფერენდუმს არ აღიარებს. რეფერენდუმს არალეგიტიმურად მიიჩნევს ევროკომისიაც.

პარალელურად ესპანეთის ერთიანობის მხარდამჭერების აქცია გაიმართა კატალონიის ერთ-ერთ ქალაქში, სადაც შეკრებილებმა პოლიციის თანამშრომლებს სოლიდარობა გამოუცხადეს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „პატრიოტთა ალიანსის“ მიზანია, პრორუსი ამომრჩეველი წაართვას ნინო ბურჯანაძეს“

## თორნიკე შარაშენიძე: „კატალონიის მოვლენები აფხაზეთზე გავლენას ვერ მოახდენს“

ნათია ხურცილავა

საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი, ჯიპას პროფესორი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „პატრიოტთა ალიანსის“ მოსკოვში ვიზიტსა და აფხაზეთის კონტექსტში ესპანეთში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

***– ბატონო თორნიკე, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერები მოსკოვში ვიზიტით მეორედ იმყოფებიან, ისინი ხვდებიან დუმის წარმომადგენლებს – კალაშნიკოვს და სხვებს. აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აპირებენ. რამდენად რეალურია, რომ მართლაც დაიწყოს მსგავსი მოლაპარაკებები?***

– ჩემთვის უცნობია, ვისთან უნდა დაიწყოს „პატრიოტთა ალიანსმა“ მოლაპარაკება რკინიგზის აღდგენასთან დაკავშირებით?! ვინ ეკითხება მათ ამას?! მათი მოსკოვში ვიზიტების მთავარი მიზანი არის ქულების ჩაწერა საქართველოში პრორუსული ამომრჩევლის თვალში, რომელთა წართმევაც უნდათ ნინო ბურჯანაძისთვის. ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ეს გამოსდით. ამის ობიექტური მიზეზი არის ის, რომ ბურჯანაძე მაინცდამაინც გულზე არ ეხატება ჩვეულებრივ ხალხს, გასაგები მიზეზების გამო. მეორე მიზეზი კი არის ის, რომ „პატრიოტთა ალიანსს“ უფრო მეტი ფული აქვს, ვიდრე ბურჯანაძეს.

***– რატომ, რუსეთისგან ფინანსდებიან?***

– არა, მათ სიაში ჰყავთ რამდენიმე ბიზნესმენი. ამ ადამიანების სიაში ჩასმა კი მოხდა საქართველოში უზენაესი ხელისუფლების ნებით. მათ აქვთ მისია, რომ ეს ამომრჩეველი, რომელიც გარკვეულ პროცენტულ მაჩვენებელს შეადგენს, გადმოიყვანონ თავის მხარეს და ბურჯანაძეს წაართვან. ამის წინააღმდეგი არ იქნება ხელისუფლება, რომლისთვისაც ბურჯანაძე აშკარად არ არის მისაღები პოლიტიკური ფიგურა.

***– მხოლოდ ეს არის ამ ძალის მიზანი, რომ ბურჯანაძეს წაართვან ელექტორატი?***

– თუკი ისინი სერიოზულად ფიქრობენ, რომ აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთს გახსნიან, თუკი ფიქრობენ, რომ ეს კარგია საქართველოს სახელმწიფოსთვის, მაშინ ძალიან დიდი პრობლემა გვქონია.

***– ხომ არ შეიძლება, რომ გარკვეული დანაბარები ჩამოიტანონ ხელისუფლებასთან სწორედ ამ მიმართულებით, რომ სარკინიგზო მიმოსვლაზე დაიწყოს საუბარი კულუარებში?***

– სარკინიგზო მიმოსვლაზე საუბრის ჩაწვეთება დიდი ხანია მიდის, ჩვენს ხელისუფლებას დიდი ხანია ეს ჩაწვეთებული აქვს და ამისთვის არ სჭირდება არც კალაშნიკოვი, არც მაუზერი და არც ნაგანი, მადლობა ღმერთს, ხელისუფლებას აქვს გადაწყვეტილი, რომ ეს არ გააკეთოს.

***– ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ უფრო ქმედითი იყოს იმ დროს, როდესაც საპარლამენტო ძალა მიდის ოკუპანტ სახელმწიფოსთან მოსალაპარაკებლად. ამის პასუხად მამუკა მდინარაძე აცხადებს, რომ პრორუსული ძალები საქართველოში ცოტანი არიან და არ ღირს გამოხმაურება. ამ დროს როგორი უნდა იყოს ხელისუფლების პოზიცია?***

– ეს განცხადება ადასტურებს, რომ მმართველი ძალა ამ მოვლენებისგან თავს შორს იჭერს. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაციონალებს აუცილებლად უპასუხებდნენ და ეტყოდნენ – სისხლიანი ცხრა წელი, სამართლიანობის აღდგენა, და ა.შ.

***– რამდენად არის საფრთხის შემცველი თუნდაც ოპოზიციური ძალის საუბარი ოკუპანტ სახელმწიფოსთან ერთი ერთზე?***

– სიმართლე გითხრათ, მე ამ შემთხვევაში ხიფათს ვერ ვხედავ. თუმცა, ოპოზიცია იმის ოპოზიციაა, რომ მსგავსი რაღაცები შემოუტრიალოს ხელისუფლებას. ხელისუფლებამ კი ეს ყველაფერი თავიდან უნდა აიცილოს.

***– გამოდის, ხელისუფლებას სწორი პოზიცია აქვს, რომ ის არ ერევა.***

– დიახ, ხელისუფლებას ვერავინ მიედავება ამ საკითხში.

***– აფხაზეთის კონტექსტში რამდენად იქონიებს გავლენას კატალონიის რეფერენდუმი გამოყოფის მოთხოვნით, ერაყის ქურთისტანში მიმდინარე პროცესები, შემდეგ ერდოღანის განცხადება, რა გავლენას იქონიებს იმ კონფლიქტებზე, რომლებიც ჩვენ გვაქვს?***

– რა საფრთხის შემცველი უნდა იყოს კატალონიაში მიმდინარე პროცესები ჩვენთვის?!

***– თუ ეს პროცესი ღრმად წავიდა და ერთ მშვენიერ დღეს კატალონია დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა და ესპანეთს გამოეყო.***

– კატალონიის დამოუკიდებლობას ესპანეთი არ აღიარებს და არ აღიარებს ევროპაში არავინ. ვფიქრობ, რომ საბოლოო ჯამში კომპრომისული ფორმულა მოიძებნება და როგორც შოტლანდია არის დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში, ისე იყოს ესპანეთის შემადგენლობაში. კატალონია თუ ესპანეთის შემადგენლობიდან გავა, მაშინ კატალონია ავტომატურად დაკარგავს ევროკავშირში ყოფნის შესაძლებლობას. მერე ევროკავშირში უნდა შევიდნენ, ძნელი წარმოსადგენია, როგორ შევლენ, მათ გაწევრიანებას ესპანეთმაც უნდა დაუჭიროს მხარი, რთული წარმოსადგენი არ არის, რომ ესპანეთი ამ გადაწყვეტილებას დაბლოკავს. თუ ესპანეთი არ აღიარებს მათ დამოუკიდებლობას, წარმოუდგენელია, ეს აღიაროს საფრანგეთმა, ევროკავშირის სხვა სახელმწიფოებმა.

თუ ვინმეს ეს პროცესი აფხაზეთში უხარია, რომ ჩვენც გვაღიარებენ, ეს არის აბსოლუტური სისულელე და მათი გაუნათლებლობის, ნაკლები ინფორმაციის ქონის ბრალი. აფხაზეთი არის ეთნოწმენდის შედეგად ცალმხრივად აღიარებული რუსეთის მიერ რაღაც წარმონაქმნი. აფხაზეთს კი არა, დარწმუნებული ვარ, ევროპა კატალონიას არ აღიარებს. ამერიკა და ევროკავშირი როდესაც იტყვიან, არ ვაღიარებთო, დამთავრებულია, არ აღიარებენ.



ამდენად, რუსეთისა და ვენესუელის აღიარება აფხაზებს დიდ წარმატებას არ მოუტანს ამ მიმართულებით. ვენესუელაში ხელისუფლება იცვლება და დიდი შანსია, რომ აფხაზეთის აღიარება უკან წაიღოს.

***– ანუ ეს არის ორი სრულიად განსხვავებული პროცესი.***

– რასაკვირველია. ვნახავთ, კატალონიაშიც როგორ განვითარდება მოვლენები.

# შეეწირება თუ არა ციანიდის საქმეს პროკურორი ჯარჯი წიკლაური

## ინგა გრიგოლია პროკურატურაში მისვლას აპირებს

შორენა მარსაგიშვილი

ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში მედიით ციანიდის საქმის სასამართლოზე მიცემული ჩვენებების აუდიოჩანაწერების ნაწილი გასაჯაროვდა. ამ ინფორმაციებს სკანდალი მოჰყვა, მაგრამ არანაკლებ სკანდალური შეიძლება გამოდგეს ამის გაგრძელება. დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატები თითქმის დარწმუნებულები არიან, რომ პროკურორი ჯარჯი წიკლაური სასამართლოს წინაშე წარდგება. მანამდე კი ადვოკატებს თავად მოუწევთ ჩვენების მიცემა.

გუშინ, 4 ოქტომბერს, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ციანიდის საქმის მასალების მედიასაშუალებებით გავრცელებასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.

საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, გამოძიების მონაცემების ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 374-ე მუხლით მიმდინარეობს. საქმე ეხება მედია საშუალებებით სასამართლო სხდომებზე მიცემული ჩვენებების აუდიო ჩანაწერების გავრცელების ფაქტს.



– ბოლო პერიოდში სხვადასხვა მედიასაშუალებებში არაერთხელ გავრცელდა მსჯავრდებულ გიორგი მამალაძის სისხლის სამართლის საქმის მასალები. აღნიშნულთან დაკავშირებით, გამოძიების მონაცემების გახმაურების ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 374-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაწყებულია გამოძიება. საქმეზე გამოძიებას აწარმოებს საქართველოს პროკურატურა, – აღნიშნეს მთავარ პროკურატურაში.

მთავარმა პროკურატურამ დაკითხვაზე ციანიდის საქმეზე მსჯავრდებული დეკანოზის ექვსივე ადვოკატი დაიბარა.

როგორც პროკურატურიდან გამოსვლის შემდეგ ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა აღნიშნა, მისთვის ცნობილია, რომ ამ საქმეზე იგეგმება პროკურორების, ჟურნალისტების და, შესაძლოა, საპატრიარქოს წარმომადგენლების დაკითხვა.

მიხეილ რამიშვილი, მართალია, პროკურატურაში მივიდა, მაგრამ ჩვენება არ მისცა. ის მზადაა, რომ ჩვენება მოსამართლეს მისცეს.

მეორე ადვოკატი გიორგი ფანცულაია დარწმუნებულია, რომ პროკურატურა მეუფე იაკობის მოთხოვნით გააქტიურდა.

– აქამდე ითმენდნენ, მაგრამ როგორც კი შორენა თეთრუაშვილი და, რაც მთავარია, მეუფე იაკობი ამოტივტივდა საქმეში, რომელიც პირდაპირ დაკავშირებული პირია სოსო გოგაშვილთან, ეტყობა, ერთი ზარი დასჭირდა მეუფე იაკობს და სოსო გოგაშვილს, რომ ჩვენ 4 ოქტომბერს დაბარებული ვყოფილიყავით პროკურატურაში, – განმარტა ფანცულაიამ.

მისი თქმით, პროკურატურამ პირველ რიგში ჯარჯი წიკლაური უნდა დაკითხოს. ადვოკატის განცხადებით, პროკურორი გამუდმებით არღვევდა გაუთქმელობის შეთანხმებას.

– ჯარჯი წიკლაური ცალმხრივად არღვევდა გაუთქმელობის ვალდებულებას და საზოგადოებას აწოდებდა ცალმხრივად ინფორმაციას, მაშინ, როცა ჩვენ არ შეგვეძლო, ადვოკატებს, გამოვსულიყავით, გვესაუბრა, დაგვეცვა საზოგადოების წინაშე მამა გიორგი მამალაძე და ამის ფონზე, გამოდიოდა ჯარჯი წიკლაური და საუბრობდა ყველაფერზე, მათ შორის 2017 წლის 8 მარტს, ატარებდა ბრიფინგს და ფარული ვიდეოჩანაწერებიდან იმ ნაწილს ასაჯაროებდა, რომელიც მათ აწყობდათ და ხდებოდა ცალმხრივად კანონის დარღვევა.

შესაბამისად, კარგი იქნება, თუ პირველ რიგში ჯარჯი წიკლაურის წინააღმდეგ დაიწყებენ მოკვლევას. პროკურატურის მხრიდან გასაჯაროვდა პირველად ინფორმაცია, რომ ჩვენ ვიდეომასალები არ გამოგვიტანია საჯაროდ არასოდეს, შესაბამისად თუ



არის რაიმე დანაშაული, – აღნიშნა ფანცულაიამ.

დაკითხვაზე ალბათ მედიის წარმომადგენლებსაც მოუწევთ მისვლა. საუბარია იმ მედიასაშუალებებზე, რომლებმაც სკანდალური ჩვენებები გაასაჯაროვეს.

როგორც რუსთავი 2-ის ჟურნალისტმა ნოდარ მელაძემ პირველ რადიოსთან საუბარში განმარტა, ამ შემთხვევაში ჟურნალისტები კანონით არიან დაცული და, შესაბამისად, წყაროს გათქმას არ აპირებენ.

– საქართველოს მთავარი პროკურატურიდან სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ში შეტყობინება არ შემოსულა და ამ დრომდე დაკითხვაზე არავინ დაუბარებიათ. მთავარი პროკურატურისთვისაც კარგად არის ცნობილი კანონის ის დათქმა, რომელიც ჟურნალისტებს არ ავალდებულებს, გათქვან წყარო.

ამ შემთხვევაში ჩვენ ვართ დაცული კანონით და არ ვაპირებთ, გავთქვათ წყარო, რომელიც გვაწვდიდა ამ მასალებს. იმიტომ, რომ ჩვენ ყოველთვის ვიცავთ წყაროს კონფიდენციალურობას, არა მარტო ამ, არამედ ყველა სხვა შემთხვევაშიც და ასევე ვაპირებთ, – აღნიშნა მელაძემ.

პროკურატურაში დაბარების შემთხვევაში, ტვ პირველის ჟურნალისტები გამოძიებასთან თანამშრომლობას აპირებენ, თუმცა წყაროს გაუთქმელობის უფლებას გამოიყენებენ.

– ამ დრომდე არ მიგვიღია შეტყობინება, რომ დაბარებულები ვართ მთავარ პროკურატურაში. დაბარების შემთხვევაში ვითანამშრომლებთ გამოძიებასთან, თუმცა გამოვიყენებთ წყაროს გაუთქმელობის უფლებას, – განაცხადა ტვ პირველის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ეკა ქარდავამ.

პროკურატურაში მისვლას აპირებს „რეაქციის“ წამყვანი ინგა გრიგოლიაც. ჩანაწერების ნაწილი მის გადაცემაშიც გასაჯაროვდა. წყაროს გათქმას არც ის აპირებს და, როგორც პირველ რადიოს უთხრა, თავად აპირებს პროკურორებისთვის კითხვის დასმას.

– თუ კითხვა აქვს ვინმეს და დამირეკეს, მივალ, თუმცა ინფორმაციის წყაროს არ დავასახელებ. ამიტომ ნუ შეწუხდება ტყუილად პროკურატურა. ერთი კითხვა მე მაქვს, წელიწადნახევარია, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროების საქმეზე ძიება რომ დაიწყეს ზარ-ზეიმით, ეგება მისვლით გავიგო, როგორაა საქმე, – ამბობს ინგა გრიგოლია.

# ვალერი გელბახიანი: „მოგვწონს ეს თუ არა, სააკაშვილი ისევ დიდ როლს ასრულებს ქართულ პოლიტიკაში“

მარიამ მჭედლიშვილი

მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, იურისტ ვალერი გელბახიანს.

***— 29 სექტემბრიდან მოყოლებული, საქართველოში პოლიტიკის მთავარი თემა „ქართული ოცნება“ — ნაცმოძრაობის დაპირისპირებაა. ისევ ორპოლუსიანობაა?***

— როგორც ჩანს, ისევ ორპოლუსიანობაა, რომელიც ორივე მხარეს აწყობს. ასე რომ არ იყოს, მოვლენები ამგვარად არ განვითარდებოდა. ბევრს ეგონა, რომ ნაციონალური მოძრაობის დაშლით სერიოზული ცვლილებები მოხდებოდა. სინამდვილეში, დიდად არაფერი შეცვლილა. ნაციონალური მოძრაობა დაშალეს სეგმენტებად, მაგრამ ეს პარტია ისევ წამყვან ოპოზიციურ ძალად რჩება თავისი სტრუქტურებითა და საშუალებებით. ყველამ კარგად დავინახეთ, რომ სადაცაა სააკაშვილი, იქ არიან ნაცმოძრაობის მხარდამჭერები. მოგვწონს ეს თუ არა, სააკაშვილი ისევ დიდ როლს ასრულებს ქართულ პოლიტიკაში. სააკაშვილი ლიდერად რჩება.

***— ვინ არიან კიდევ დღეს ლიდერები?***





— პოლიტიკური ლიდერი ბევრია. ნინო ბურჯანაძე რჩება ლიდერად. დავით თარხან-მოურავიც ლიდერია, მაგრამ მათი გავლენა ნაკლებია და მათი რეიტინგები კონკურენციის გამწევი არ არის. უფრო ზუსტად, ისინი საფრთხეს ვერ უქმნიან „ქართულ ოცნებას“.

***— აქტიურ კამპანიას ატარებს „ევროპული საქართველოც“.***

— „ევროპულმა საქართველომ“, შესაძლოა, არჩევნებზე ბარიერი ვერ გადალახოს. მომხრეები ჰყავს სააკაშვილს და ნაცმოძრაობას და არა მისგან გამოყოფილ პარტიებს. ეგ კი არა, სააკაშვილის მომხრეების რაოდენობა, ალბათ, გაიზრდება. ეს დამოკიდებული იქნება მის მოქმედებებზე კიევში.

***— ვის ხარჯზე გაიზრდება? საზოგადოებაში არსებობს ხალხი, რომელიც სააკაშვილს არასდროს დაუჭერს მხარს.***

— ასეთებიც არიან, მაგრამ ბევრი მოქალაქე სხვანაირად ფიქრობს. ეს ადამიანები მხვდებიან და მეუბნებიან, სააკაშვილის მომხრე არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ახლანდელ ხელისუფლებას, ანუ მაფიას, მარტო სააკაშვილი თუ მოერევა, ამიტომ მისი მხარდამჭერები ვხდებითო. ხალხი აცხადებს, რომ მაფია, რომელმაც ძალაუფლება ხელში ჩაიგდო, მოსახლეობას ძარცვავს. არსებული სტატისტიკით, 221 000 ოჯახი ელოდება ბინებიდან გამოსახლებას ბანკების ვალების გამო. ამაში ხალხი „ოცნების“ ხელისუფლების ბრალს ხედავს. როცა ამდენ ოჯახს უსახლკარობა ემუქრება, ეს სასოწარკვეთილი ადამიანები ნებისმიერ გიჟს დაუდგებიან გვერდით, ოღონდ მაფიისგან თავი დაიხსნან. თუ სააკაშვილი უკრაინაში წარმატებას მიაღწევს და მას სწორი გზავნილები ექნება, მისი მომხრეების რაოდენობა საქართველოში საგრძნობლად მოიმატებს.

***— თბილისის საკრებულოს ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებებსაც ამ ჭრილში აფასებს საზოგადოება?***

— ესეც ფასდება ორგანიზებული მაფიის გადაწყვეტილებებად. ადამიანები აცხადებენ, რომ ის, რაც ხდება, შორსაა კანონიერებისაგან. ქვეყანა ასე არ უნდა იმართებოდეს. არავისთვის არაა დასამალი, რომ არის ერთი კაცი, რომლის ინტერესსაც ემსახურება მთელი სახელმწიფო აპარატი.

***— ადგილობრივი არჩევნები კარსაა მომდგარი. ეს როგორ მოქმედებს არჩევნებზე?***

— ამ არჩევნებზე იქნება დიდი პასიურობა. მარტო მონაწილე პარტიები თუ გამოიყვანენ თავიანთ წევრებსა და მომხრეებს.

***— ეს საერთო ამომრჩევლის მცირე სეგმენტი იქნება?***

— რა თქმა უნდა. ფაქტობრივად ვერც ერთი პარტია ვერ ახერხებს წინასაარჩევნოდ დიდი რაოდენობით ხალხის მობილიზებას. ერთი კვირის წინ ახალციხეში სასამართლო პროცესი მქონდა და იქ ვიმყოფებოდი. სწორედ იმ დროს იქ ჩამოდიოდა პრემიერ-მინისტრი, რომელსაც მმართველი პარტიის ადგილობრივი კანდიდატები უნდა წარედგინა. ახალციხე-ბორჯომის გზაზე თბილისიდან მიმავალი 200 მიკროავტობუსი ვნახე. „ოცნებას“ ხალხი თბილისიდან ორგანიზებულად მიჰყავდა წარდგენაზე. მსგავს რამეს მანამდე ქუთაისშიც შევესწარი. ყველგან იგივე სურათია. რომელ მასობრივ მხარდაჭერაზეა საუბარი! აქციები ჩაატარა პატრიოტთა ალიანსმა, მაგრამ ისინი მიზანს არ მოემსახურა. მიტინგი როგორც დაიწყო, ისე დამთავრდა. ჩვენ გვინახავს აქციები, რომელიც პერმანენტულ ხასიათს იღებს და ფართოვდება.

***— თბილისის მერის არჩევნებზე მეორე ტური გარდაუვალია?***

— რასაკვირველია. 2014 წელს „ქართული ოცნების“ პიკი იყო, მაგრამ მაშინაც დავით ნარმანიას დასჭირდა მეორე ტური. ეს ახლა უფრო აქტუალურია. უნდა ვთქვა, რომ ხალხი გაღიზიანებულია იმ საარჩევნო კამპანიით, რომელსაც კახა კალაძე ატარებს.



## „კალაძის საარჩევნო კამპანია ანტიპიარია“

***— მეც მომისმენია ხალხის საყვედურები, რომ ის ხალხისაგან შორს დგას.***

— არ მესმის, ვინ დაუგეგმა ეს კამპანია კახა კალაძეს, რომელიც მმართველი პარტიის ყველაზე მიმზიდველი და პოპულარული სახეა. ეს კამპანია ანტიპიარია. ერთ კლიპში კალაძე ჰესების განვითარებაზე საუბრობს შემინული ინტერიერიდან. ამ დროს ამას უყურებს ჩვეულებრივი მოქალაქე, რომელმაც იცის, რომ შევარდნაძის დროს ელექტროენერგია 9 თეთრი ღირდა, სააკაშვილის დროს — 12, ახლა კი — 21. ის მაინც ეთქვა, იძულებული ვიყავით, დენი გაგვეძვირებინა, მერე დარგი განვითარდება და გავაიაფებთო. ამის მაგივრად ის ფეშენებელური შენობიდან ესაუბრა ხალხს. ბანერზე კალაძე მუქ ფერებშია გამოსახული და არანაირი იმედის განცდას არ უტოვებს ადამიანებს.

***— ამ კლიპებისა და ბანერების გარეშე ხალხი კალაძეს თავისიანად ჩათვლიდა?***

— ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებას ასეთი უარყოფითი განცდები არ გაუჩნდებოდა. იხარჯება დიდი ფული, მაგრამ რაში — გაუგებარია. საუბედუროდ, „ოცნება“ ამას მარტო წინასაარჩევნოდ არ აკეთებს. მას აქვს ბიუჯეტი, მაგრამ მას ქვეყნის სწორად მართვისათვის არ იყენებს. ასე იფლანგება ხალხის თანხები. ამას საზოგადოება კარგად ხედავს და ამიტომ ბევრ ადამიანს სიტყვა „მაფია“ აკერია პირზე.

# დავით ლორთქიფანიძე ნაციონალებზე: „ყველა მსჯელობს თავისი გათახსირებულობის ხარისხით“

გულიკო ბალაძე

მიმდინარე პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართული ოცნების“ წევრი დავით ლორთქიფანიძე აფასებს.

***— ბატონო დავით, ბოლო დროს ნაცმოძრაობა ძალიან გააქტიურდა. რას მიაწერთ მათ გააქტიურებას? თუნდაც ხმაურიანი აქციები მერიასთან ამის მანიშნებელია.***

— ნაცმოძრაობას გააქტიურება სჭირდება. უნდა საზოგადოებას თავი შეახსენოს. ცდილობს პოზიტიური როლი ითამაშოს, უნდა თავისი მხარდამჭერები (რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ჰყავს) ტონუსში მოიყვანოს და აგრძნობინოს მათ, რომ ბრძოლის არ ეშინია. ჰგონიათ, რაღაც წარმატებას მიაღწევენ, რაც რეალობას დაცილებულია. მეორეც — ამით საზოგადოებას ეუბნებიან, რომ საქართველოში არის მაღალი ხარისხის დემოკრატია, ყველას აქვს უფლება, თავისი აზრი გამოთქვას, რაც მათი ხელისუფლების დროს არ იყო. თუმცა, მათი აქტიურობა ისევ თავის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. მათ დროს ყველაფერი ტაბუირებული იყო და ოპოზიციის აქტიურობას მინიმუმ ანგარიშსწორება მოჰყვებოდა. იგივე აქციის დროს, ადამიანების მოტაცება, ცემა-წამება. დღეს კი მათგან განსხვავებით საშიშროება არ ემუქრება.

***— შეხლა-შემოხლა და ცემა-ტყეპა ახლაც იყო თბილისის მერიასთან ნაციონალების აქციაზე. პოლიციელებიც დაშავდნენ და აქციის მონაწილეებიც. რატომ იქმნება ასეთი სიტუაცია, ხელისუფლებაც რაღაც სახით ხომ არ უწყობს ხელს?***

— არა, ხელისუფლება ამას ხელს არ უწყობს. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მისცემდნენ ადამიანების მცირე ჯგუფს მთავარი სატრანსპორტო არტერიის გადაკეტვის საშუალებას. აქციაში მონაწილეობდა დაახლოებით 50-მდე ადამიანი, რომლებიც ცდილობდნენ ქუჩა გადაეკეტათ, რის საშუალებას სამართალდამცავი ორგანოები არსად მსოფლიოში არ მისცემდნენ, არც საქართველოში არ უნდა მისცენ.

იქ ძალის გადამეტების ფაქტები არ იყო, მგონი, ერთი ხაბეიშვილი ამტკიცებდა, თითქოს გაიტაცეს, სცემეს და სადღაც დატოვეს, მაგრამ გამოქვეყნდა ვიდეომასალა, სადაც ჩანს, რომ ხაბეიშვილი მერიის შესასვლელში სკამზე იყო წამოწოლილი. თუ გატაცება უნდოდათ, სხვაგან გაიტაცებდნენ, მერიისგან შორს. მათი ხრიკები ამომრჩეველზე არ მოქმედებს. ამომრჩეველი გარკვეულია, ვის უნდა მისცეს ხმა. ამიტომ მათ აქციებს ხალხი არ ემატება, თუმცა, იციან, რომ ამ ქვეყანაში აქციაზე მისვლის გამო ადამიანებს არ კლავენ.

***— აქციებზე მისვლის გამო ადამიანებს აღარ კლავენ და არც მიტინგების დარბევისა და მომიტინგეების ცემისთვის „ქართული ოცნება“ არ აჯილდოვებს პრემიით, მაგრამ პარადოქსი ის არის, რომ ნაცმოძრაობა სწორედ რომ ხელისუფლების მიმართ გამოთქვამს გარკვეულ საკითხებზე პროტესტს. ამაზე რას იტყვით?***

— ჩვენ მაქსიმალურად ვერ მოვახერხეთ სამართლიანობის აღდგენა. რეჟიმმა, რომელიც მოსახლეობას 9 წლის განმავლობაში ატერორებდა, სამართლებრივად არ აგო პასუხი ქვეყნის მოსახლეობის წინაშე. ამან განაპირობა ის, რომ დღეს ნაცები საარჩევნო რეჟიმში არიან, ხედავენ, აზრის გამოხატვისთვის საშიშროება არ ემუქრე-



ბათ და „ალტკინებულები“ არიან. ეს ჩვენს მხარდამჭერებში დადებით განწყობას არ ქმნის, რადგან მათ შინაგანად აქვთ იმის განცდა, რომ ეს ადამიანები ამ ფორმით ვერ უნდა ბედავდნენ მოსახლეობასა და ხელისუფლებასთან ძიძგილაობას.

***— ნაცმოძრაობამ განაცხადა, რომ ის თავის სტრატეგიას ცვლის და საპროტესტო აქციებზე გადადის. ამ გადაწყვეტილების საბაბად კი საკრებულოს გადაწყვეტილებას იყენებენ, რაზეც დიდი ხმაური იყო თვით საკრებულოშიც.***

— დაანონსებულ აქციებში ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ. მათი უფლებაა, გამოიყვანონ თავიანთი ამომრჩეველი და კანონის ფარგლებში იმოქმედონ. უფლება აქვთ, საპროტესტო რეჟიმში იყვნენ. მათ არავინ ზღუდავს. მათი საპროტესტო განწყობა ისე ჩაივლის, რომ 21 ოქტომბრის შემდეგ მოსახლეობა ვერაფერს იგრძნობს. რევოლუციურ გარდატეხას ისინი ვერ მოახდენენ.

თვითონ ის ფაქტი, რომ ნაცები საკრებულოს გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, უნდათ მერიამ ამაზე რაღაც გადაწყვეტილება მიიღოს, ეს მათი მხრიდან სერიოზული მოთხოვნა არ არის. კარგად გაიხსენონ, მათი ხელისუფლებაში ყოფნის პირობებში მილიონობით ქონება რომ აქვთ გადაცემული, უპირობოდ გაჩუქებული, მათ შორის, ფიზიკურ პირებზე. სახლები, აგარაკები, გემები, შპს-ები, მილიონობით დოლარის ქონება. გადახედონ, მათ მიერ ერთ ლარად გადაცემული მილიონობით ლარის ქონების სანაცვლოდ არავითარი ინვესტიცია რომ არ განხორციელებულა. ჩვენ შემთხვევაში, თუ იქნება დადებული ის პირობა, რომელიც კანონით არის გათვალისწინებული და განხორციელებული იქნება ინვესტიცია, ამაში კანონის დარღვევას ნამდვილად ვერ ვხედავ.

***— ნაცები აცხადებენ, ბიძინა ივანიშვილს თბილისში ერთ ლარად ჩვენი მიწები არ უნდა გადაეცესო. ნაცები-2, ანუ ევროპული საქართველო ამბობს, რომ ჩვენ შეცდომები გავიაზრეთ და შეცდომების გააზრებაშიც პირველები ვართო. ყოფილ სახელისუფლებო გუნდს ამით რისი თქმა უნდა? არჩევნების გზით მათი დამამხობლისთვის მიწის გადაცემას ვერ ინელებენ თუ აქ მართლაც არის პრობლემა?***

— პრობლემა გადაცემაში არ არის. მათი ეს პოზიცია აღიარებაა იმისა, რომ დანაშაულებრივად და უდიერად ეპყრობოდნენ სახელმწიფო ქონებას. მათ ათასობით ჰექტარი მიწა აქვთ გადაცემული, რიგ შემთხვევებში, ყოველგვარი პირობის გარეშე. რიგ შემთხვევებში, პირობა არ არის შესრულებული. კანონი არ კრძალავს სიმბოლურ ფასად გარკვეული ქონების გადაცემას, თუ სიმბოლური ფასის უკან ხელშეკრულებით არის ნაკისრი ვალდებულება, რომ მილიონობით ლარის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს. ამ შემთხვევაში სახელმწიფო არ ზარალდება. სხვა შემთხვევაში შეიძლება დაისვას კითხვა, რამდენად რელევანტურია ამა თუ იმ ტერიტორიის გადაცემა. ის პოზიცია, რომ რადგან ბიძინა ივანიშვილია, არ შეიძლება არაფრის გადაცემა, სისულელეა.

რამდენად ასოცირებულია ბიძინა ივანიშვილთან, მე ამის დოკუმენტები არ მინახავს, მაგრამ ეს არის მათი პიარის შემადგენელი ნაწილი, რომლითაც ცდილობენ, ხელისუფლებას გაუკეთონ ანტიპიარი. თუ ეს კომპანიები ვერ ღებულობენ ვალდებულებებს, სხვა საკითხია, მაგრამ ბიძინა ივანიშვილს ვალდებულებების გარეშე დაახლოებით 2 მილიარდის ქველმოქმედება აქვს განხორციელებული. ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებას რომ შეასრულებს, ამაში ეჭვი არ მეპარება. ერთ მხარეს არის ყოველგვარი ვალდებულების გარეშე განხორციელებული 3 მილიარდის ინვესტიცია, მეორე მხარეს არის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. ამ შემთხვევაში ერთი მეორეს აძლიერებს და კითხვის ნიშნები არ უნდა იყოს.

***— მილიარდი დოლარის ინვესტიციის განხორციელებას კისრულობს?***

— დიახ, საუბარია მილიარდი დოლარის ინვესტიციის განხორციელებაზე და, აქედან გამომდინარე, ყველა სიკეთეზე.

***— როგორ ფიქრობთ, თავის დროზე მილიარდიანი ინვესტიციის***

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ვინ არის კონსტანტინე შარაშენიძე და რა თანხების გაფლანგვას ედავება მას კონტროლის პალატა?



ოზურგეთის მერობისთვის რბოლაში გამალებულად არის ჩართული „ქართული ოცნებიდან“ გარიცხული კოტე შარაშენიძე. მას ერთხელ ნამდვილად გაუმართლა, როდესაც საჭირო დროს საჭირო ადგილას მოხვდა. 2012 წელს ის „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის დამფუძნებელი გახდა და არჩევნებში ბიძინა ივანიშვილის გუნდის გამარჯვების შემდეგ, 2012 წელსვე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის სავარძელს 2 წლით მოერგო.

ოცნება აუხდა შარაშენიძეს. აუხდა იმიტომ, რომ მისი კალამი ადგილობრივი ბიუჯეტის ჩეხვის ბასრ იარაღად იქცა. ჭრიდა და კერავდა ისე, როგორც მოისურვებდა და ეს ფინანსური მანიპულაციები, დაუსაბუთებელი, ყოველგვარი ფორმალური დოკუმენტაციის გარეშე გაწეული ხარჯები საბოლოოდ სახელმწიფო აუდიტის მიკროსკოპის ქვეშ მოხვდა. თუმცა, მიკროსკოპი მხოლოდ მყარ მატერიებს ხედავს, ხოლო თუ არაფერი ჩანს, საქმე დანაშაულთან გვაქვს და არა რამე ზებუნებრივ მოვლენასთან.

იმის გათვალისწინებით, რომ გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არც უნახავს თვალით შარაშენიძეს, ვერ გამოვრიცხავთ, რომ აუდიტის დასკვნითაც არ დაინტერესებულა, რომელშიც სისხლის სამართლის დანაშაული იკვეთება. მილიონობით ლარის კანონდარღვევით ხარჯვის გამო მას წარბიც არ შეუხრია ამდენი წლის განმავლობაში. მაგრამ, იმედია, მიხვდება, რომ მერობა, რისთვისაც ახლა იბრძვის, იმუნიტეტად ვერ გამოადგება ჩადენილი დანაშაულების ასარიდებლად.

მაგალითისთვის, ბიუჯეტის ფულით კოტე შარაშენიძემ 145 000 ლარიანი გრეიდერი იყიდა, რომელიც შპს „ტექნოსერვისს“ გადაულოცა და მანამდე საბაზრო ღირებულებით მიღებულ მომსახურებაზე ბიუჯეტიდან უფრო ძვირად აძლევდა შეკვეთებს ბიუჯეტითვე ნაყიდ გრეიდერს. ეს ფაქტი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში.

ასობით ათასი ლარის ზედმეტად გადახდილი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის საჭირო მასალებში, მაგალითად: 30-ლარიანი ღორღი შარაშენიძეს 48 ლარად შეუძენია – ჯამურმა ულუფამ გამგებლის ჯიბეში 35 000 ლარი შეადგინა. მადა ჭამაში მოდის და – ამის შემდეგ 3-ლარიანი ქვიშა-ხრეშოვანი ნაზავი, თითო კუბური მეტრი, 27,37 ლარად იყიდა. აქ ჯიბის ფულიც გაიზარდა – 55 000 ლარი. შემდეგ მოჰყვა ამას 12-ლარიანი ასფალტის 16 ლარად დაგება; 1000-ლარიანი ბიტუმის 1500 ლარად შეძენა; 15-ლარიანი მეტალოკრამიტის 21 ლარად ყიდვა, 15-ლარიანი შიფერის – 20 ლარად... მხოლოდ ამ ჩამონათვალში ბიუჯეტმა ასობით ათასი ლარი იზარალა. თუმცა, მედალს ორი მხარე აქვს და, ზარალიც მეორე მხრიდან ხეირს ნიშნავს, ოღონდ გამგებლისთვის და არა გადასახადების გადამხდელებისთვის.

ასეთ უპასუხისმგებლო და, შეიძლება ითქვას, დანაშაულებრივ გადაწყვეტილებებს გაფეოდალებული გამგებელი სხვადასხვა მეთოდით იღებდა და გაჰქონდა კიდეც. მაგალითად, „სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე 2013 წლის 12 სექტემბრის სხდომაზე ისაუბრეს, რომელიც კოტე შარაშენიძის მხრიდან საკრებულოს დეპუტატებისადმი შეურაცხმყოფელი განცხადებების ფონზე დაიხურა. საკრებულოს წევრები ცდილობდნენ გაერკვიათ, რის საფუძველზე იხარჯებოდა სტიქიით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გამოყოფილი თანხა. აქ მოულოდნელად გაცხარდა შარაშენიძე: „რა გინდა შენ, რას იჩხრიკები, საგადასახადოს ყოფილი კორუმპირებული უფროსი და ინსპექტორი ხარ, ინტრიგანი ხარ, ვიღაცა! ვის დაკარგვიხარ, შენ?! მიჩვეული ხარ დარეკვას და დაჭერას, კორუმპირებული ხარ, რა გინდა შენ?!“ გაბრაზებული შარაშენიძის დანახვისას დეპუტატმა კვერღელიძემ უცებ შეარბილა ტონი და დაწყნარდიო – ურჩია გამგებელს.

– დავწყნარდე კი არა, დაახვიე აქედან! კორუმპირებული ხარ, საგადასახადოს ყოფილი ინსპექტორი, რასაც აკეთებდი, ყველამ იცის!, – არ ცხრებოდა შარაშენიძე.

საკრებულოს წევრები წამოდგნენ და ლელა ნაცვალაძე პირველი გაეშურა მათ შორის „მანდილის“ ჩასაგდებად. ხანმოკლე ჩოჩქოლის შემდეგ საკრებულოს წევრები დაიშალნენ, რადგან საკრებულოს თავმჯდომარეს უკვე ნათქვამი ჰქონდა, რომ სხდომა დაიხურა. სხდომა დაიხურა – ფული კი იქით წავიდა, საითაც შარაშენიძემ მიმართა.

ზოგადად, პოლიტიკურ ძაბრში შარაშენიძე საკმაოდ უცნაურად გაძვრა. 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდში, როგორც ცნობილი გახდა, ის არ იყო თავიდან ჩამოყალიბებული, რომელიც პარტიიდან იყრიდა კენჭს. თითქოს „ქართული ოცნების“ შტაბს ხელმძღვანელობდა, მაგრამ ამ დროს ფარულად ხვდებოდა ნაცმოძრაობას და მასთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს. ბოლოს გუმანმა არ უმტყუნა და ოცნებაში საფუძვლიანად გამაგრდა ისე, რომ ოზურგეთის გამგებლის თანამდებობაც გაინაღდა. მისი პოლიტიკური ორჭოფობა „ქართულ ოცნებაში“ კარგად შენიშნეს და შარაშენიძის გაგამგებლების შემდეგ ადგილობრივმა აქტივისტებმა საპროტესტო აქციაც მოაწყვეს მისი გადადგომის მოთხოვნით. ამის შემდეგ კოტე შარაშენიძე სახლში მიეჭრა „ოცნების“ აქტივისტს ნესტორ რამიშვილს და იარაღის კონდახი ჩაარტყა თავში. შემდეგ ეს არ აკმარა და ესროლა კიდეც. ამ ამბავზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობამდე საქმე არ მისულა. რამიშვილმა არ გაასაჩივრაო, ამბობენ.

ერთი კი ფაქტია – 2013 წლის 17 იანვარს „გურია ნიუსი“ წერდა, რომ ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე 117-ე მუხლით აღიძრა. აქვე მოყვანილი აქვთ პროკურატურის კომენტარი, სადაც აცხადებენ, რომ გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი იმ შემთხვევაში დადგება, თუ მისი ბრალეულობა დადგინდება. იგივე „გურია ნიუსის“ მიერ 27 იანვარს გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე მალევე დაიხურა.

შარაშენიძეს არც მედია დაუტოვებია „უყურადღებოდ“ – „გურიის მოამბის“ რედაქტორს ლადო მენაბდეს რედაქციის შენობის წართმევით დაემუქრა. ის რედაქტორს პირადადაც შეხვდა ამ საკითხზე სასაუბროდ, როდესაც მყარი გარანტია მისცა იმის, რომ ღია ცის ქვეშ დარჩებოდა.

არც „გურია ნიუსის“ ჟურნალისტი და რედაქცია გამორჩა შარაშენიძეს. გამოცემის ჟურნალისტს ჟანა მეგრელიშვილს მაშინდელმა გამგებელმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, უშვერი სიტყვებით აგინა. გამგებელი ჟურნალისტის კითხვებმა გააღიზიანა, რომლებიც სოფლის პროექტების დაფინანსებას ეხებოდა. ამ ჩანაწერს ინტერნეტ სივრცეშიც ნახავთ:

https://www.youtube.com/watch?v=uz45n9L8eDk.

– შარაშენიძე კატეგორიულად და შეურაცხმყოფელი სიტყვებით მთხოვდა, დიქტოფონი არ ჩამერთო, მიყვიროდა, რატომ მიწერ ასეთ რაღაცებს, რას ახარებ ამ „ნაგავ ხალხს“, ან რა გინდა ამ სოფლებში, რომ დადიხარ, რას ეძებ, მე რომ ცუდი დამემართოს, გაგიხარდება. რას ეძებ ამ გაჭირვებულებსო – ხმამაღლა მესაუბრებოდა და დიქტოფონის ჩართვის საშუალებას არ მაძლევდა. როცა დაინახა, რომ დიქტოფონის ჩართვა მოვახერხე, უკვე დაკარგა ყოველგვარი კონტროლი საკუთარ თავზე და ღიად, დიქტოფონზე დასაფიქსირებლად შემაგინა უშვერად. რადგანაც უკვე შეიქმნა საშიშროება, რომ შარაშენიძეს ფიზიკური შეურაცხყოფაც შეიძლებოდა მოეყენებინა, ვეცადე, სასწრაფოდ დამეტოვებინა მისი კაბინეტი, – აცხადებდა „გურია ნიუსის“ ჟურნალისტი.

ამ უსაქციელობის გამო გამგებელმა მოგვიანებით ბოდიში კი მოიხადა, მაგრამ მისი დამოკიდებულება მედიის და, შესაბამისად, საზოგადოების მიმართ ამ ბოდიშით არ შეცვლილა.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ამ ფაქტზე საკუთარი მოკვლევა ჩაატარა და დასკვნაც გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, გამგებლის მხრიდან ადგილი ჰქონდა დისციპლინარულ გადაცდომას და ბოდიშის მოხდა არ იყო საკმარისი ამ შემთხვევაში.

დღეს შარაშენიძე ისევ საარჩევნო მარათონშია. მისი უახლესი პოლიტიკური ისტორიიდან კარგად ჩანს, რომ „ქართული ოცნების“ ისტებლიშმენტის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ნაცმოძრაობის ამომრჩევლის რაოდენობა საეჭვო უნდა იყოს მისი იმედებისთვის.

ასე რომ, პოლიტიკური „ღამურა“ უახლოესი გარემოცვიდან, ან ძველ ნადავლგაყოფილი პარტნიორებიდან უნდა ელოდოს ხმებს, რაც ძალიან ცოტა უნდა იყოს ოზურგეთელების უმრავლესობის ინტერესების დასაძლევად.

❖ ❖ ❖

ჩვენ დავინტერესდით, რას ფიქრობს „ძველ ცოდვებზე“ მერობის კანდიდატი, აღიქვამს თუ არა ის ვითარების სირთულეს და ანაღვლებს თუ არა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საფრთხე.

კოტე შარაშენიძე ძალიან მოუცლელი აღმოჩნდა და პასუხი მისი პრეს-სამსახურიდან მივიღეთ: „ასე ზეპირად ამ კითხვებზე მე პასუხს არ გავცემ. გადმომიგზავნეთ აუდიტის დასკვნები კონკრეტული კითხვებით. გადავხედავ და შემდეგ შევეცდები, გაგცეთ კითხვებზე პასუხი“.

თუ ბატონი კონსტანტინე ისურვებს გაგზავნილ კითხვებზე პასუხის გაცემას, ჩვენ მზად ვართ, მისი პოზიციაც გამოვაქვეყნოთ.

**გვანცა გიორგობიანი**

**ფორ.გე**

# დავით ლორთქიფანიძე ნაციონალებზე: „ყველა მსჯელობს თავისი გათახსირებულობის ხარისხით“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

***განხორციელებისთვის 1 ლარად ბიძინა ივანიშვილს მიწას არ გადასცემდნენ?***

– ჟურნალისტს არ გაგიჭირდებათ ამაზე პასუხი. ნაცებს მილიარდობით ქონება აქვთ გადაცემული ყოველგვარი პირობების გარეშე 2006 წლიდან მოყოლებული, 2012 წლამდე. 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ აქვთ გადაცემული ნაცებს ქონებები. სააკაშვილს 2012 წლის 10 ოქტომბერს მილიონობით ქონება 1 ლარად აქვს გადაცემული. ამოიღეთ დოკუმენტაცია და ნახავთ, რა ქონებებია გადაცემული.

***– მიზერულ ფასად გეპეის ქონებები რომ გადაეცა სააკაშვილის დედას, იმას გულისხმობთ? ისე ცნობილია, რომ ომის დროსაც იფორმებდნენ გარკვეულ ქონებებს, მიწებს, შენობებს სააკაშვილი და მისი ხელისუფლების მაღალჩინოსნები.***

– ესეც ძალიან მნიშვნელოვანია – ჩვენი ბიჭები ცხინვალთან და კოდორის ხეობაში ომში იღუპებოდნენ, სააკაშვილის მაღალჩინოსნები კი ექსტრემალურ პირობებში, სასწრაფო წესით, სახელმწიფო ქონებას ინაწილებდნენ. საერთოდ, რაზეა საუბარი. თუმცა, ეს არ აძლევს უფლებას სხვა ხელისუფლებას, ანალოგიური გააკეთოს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ხელისუფლების პირობებში ასეთი რამ არ მოხდება. თუ რაიმე მსგავსი მოხდება, ამისთვის არის საზოგადოებრივი კონტროლი. საზოგადოებას საშუალება აქვს, მოახდინოს საზოგადოებრივი კონტროლი.

***– ნაცმოძრაობა თავის თავზე იღებს საზოგადოებრივ კონტროლის ფუნქციას და მოითხოვს, გადაიდოს საკრებულოს გადაწყვეტილების აღსრულება არჩევნების შემდგომი პერიოდისთვის. ალბათ, ფიქრობენ, რომ ამ არჩევნებში გარკვეულ წარმატებას მიაღწევენ.***

– ნაცები ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწევენ, ისინი განწირული არიან წაგებისთვის. ცდილობენ, მსოფლიოს წინაშე დააფიქსირონ, რომ ნაცმოძრაობა არის რეალური ოპოზიცია.

***– ისე, ფაქტია, რომ სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა ვერ შეძლეს მეორე ადგილის დაკავება.***

– ნაცებს ძალიან დიდი რესურსი დარჩათ 2012 წელს წაგებული არჩევნების შემდეგ. იმ რესურსისა და გარკვეული ფინანსების გამო (რომელიც დღემდე აქვთ შენარჩუნებული), ელექტორატს ინარჩუნებენ, მაგრამ ეს ყველაფერი არის მილევადი.

***– რესურსზე გამახსენდა, ნაცები იქით გიყენებენ ბრალდებას, „ოცნება“ სახელისუფლებო რესურსს იყენებსო. რა პასუხს გასცემდით?***

– სახელისუფლებო რესურსის გამოყენებაში რას გულისხმობენ, არ ვიცი, მაგრამ საარჩევნო უბანში შესული ადამიანი თავისუფალია. დღეს არავის აქვს იმის განცდა, რომ მას უთვალთვალებენ, აძალებენ და ავალებენ, მიიღონ ის გადაწყვეტილება, რაც არ უნდა. ადამიანები არიან თავისუფლები და არა მგონია, ნაცების ბრალდებები საფუძვლიანი იყოს. ისინი მსჯელობენ ისე, როგორც თვითონ იქცეოდნენ. არსებობს ასეთი გამონათქვამი: ყველა მსჯელობს თავისი გათახსირებულობის ხარისხით.

# კობა გვენეტაძე: „2017 წელს საქართველოში ეკონომიკური ზრდა 4%-ზე მაღალი იქნება“



ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე ვარაუდობს, რომ დიდი ალბათობით, 2017 წელს საქართველოში ეკონომიკური ზრდა 4%-ზე მაღალი იქნება, – ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

– ჩვენი ბოლო პროგნოზი, რომელიც გამოვაქვეყნეთ, არის 4%-იანი ზრდა, მაგრამ, ამავე დროს, აღვნიშნავ, რომ ის ფაქტორები, რომლებსაც დღეს ჩვენ ვუყურებთ, არის მაჩვენებელი, რომ დიდი ალბათობით, ზრდა უფრო მაღალი იქნება, ვიდრე 4%-ია, ალბათ, დაახლოებით, 4.5%-ის ფარგლებში, – განაცხადა გვენეტაძემ.

რაც შეეხება 2018 წლის ბიუჯეტის პირველადი პროექტით მომავალ წელს დაგეგმილ 4.5%-იან ზრდას, კობა გვენეტაძის განცხადებით, წინასწარი შეფასებით, შემდეგ წელს დაახლოებით, 4.5%-იანი ეკონომიკური ზრდა რეალური შეფასებაა, „მაგრამ ეს გარკვეულწილად დამოკიდებულია იმაზეც, თუ როგორი ზრდით დამთავრდება 2017 წელი“.

**ბიპიენი**

# ანაკლიის პორტის განვითარებისთვის 2019 წელს ბიუჯეტიდან 244 მილიონი ლარის გამოყოფა იგეგმება



ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისა და განვითარებისთვის ბიუჯეტიდან დამატებითი თანხები გამოიყოფა.

2018 წლის ბიუჯეტის პროექტის თანახმად, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის ხელშეწყობისთვის 2018 წელს 2.5 მილიონი ლარი გამოიყოფა.

ამავე პროექტით, პორტის მშენებლობის ხელშესაწყობად ასევე 2.5 მილიონი ლარის გამოყოფაა დაგეგმილი 2019, 2020 და 2021 წლებში.

ამასთან, ბიუჯეტიდან დამატებითი თანხაა გამოყოფილი პორტის განვითარებისთვისაც. კერძოდ, ამ მიზნით 2019 წელს ბიუჯეტიდან შესაძლოა 244 მილიონი ლარი გამოიყოს.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის საკონტეინერო ტერმინალი 2020 წელს გაიხსნება

**ბიპიენი**

# პროფესორმა ელგუჯა ტარტარაშვილმა სენსაციური ოპერაცია ჩაატარა



– დედობა ღვთის საჩუქარია, ჩვენ, ექიმებმა ღვთის ნების აღსრულებისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, – აცხადებს სამშობიარო სახლ „ჰერას“ მეან-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელგუჯა ტარტარაშვილი და უკვე 39 წელია იღწვის, რომ ყველა მისმა პაციენტმა დედობა იზეიმოს.

ბატონი ელგუჯა სამედიცინო წრეებში მისი სენსაციური ოპერაციებით არის ცნობილი.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მან სექტემბრის თვეში სწორედ ასეთი უნიკალური ოპერაცია ჩაატარა „ჰერაში“. ინტერნეტში მოძიებული ინფორმაციით დასტურდება, რომ ელგუჯა ტარტარაშვილმა მსოფლიო დონის ოპერაცია გააკეთა საშვილოსნოს შენარჩუნებით.

*– ბატონო ელგუჯა, რაში მდგომარეობს თქვენ მიერ ჩატარებული ოპერაციის სენსაციურობა?*

– მიმდინარე წლის 21 სექტემბერს პაციენტი ქ.მ. 31 წლის 2 წელი მკურნალობდა უშვილობაზე, ხოლო რამდენიმე თვის წინ დაუდგინდა დიდი ზომის ინტრამურალური (ინტერსტიციული) ლეიომიომა 6 თვის ორსულობის ოდენობის. პაციენტთა დიდი ნაწილისთვის ეს ტერმინოლოგია ცნობილია, რადგან ქალბატონების ძალიან დიდ ნაწილს მიომური კვანძები აწუხებს.

ოპერაცია გაკეთდა საშვილოსნოს შენარჩუნებით. ოპერაციის უნიკალურობა სწორედ ამაში მდგომარეობს, რადგან ასეთი დიაგნოზისას საშვილოსნოს შენარჩუნება არ არის აღწერილი. ოპერაციის მსვლელობისას საშვილოსნოს ღრუში არსებული პოლიპიც ამოიკვეთა. პაციენტი გაეწერა 5 დღეში.

*– თქვენზე ამბობენ, აშშ-ის მოქალაქე ბესინგერს მეუღლე და შვილი გადაურჩინეთ!*

– დიახ, ეს რამდენიმე წლის წინ იყო. ექსტრემალური სიტუაცია იყო. ბეწვზე ეკიდა დედისა და ნაყოფის სიცოცხლე. გაკეთდა საკეისრო კვეთა, ნაყოფი ამოყვანილ იქნა 31 წამში. ყველაფერი დამთავრდა კარგად. ახალშობილს ბესინგერმა ჯორჯი დაარქვა.

ბესინგერი ოპერაციას ვიდეოკამერაზე აფიქსირებდა. სწორედ ვიდეოკამერის წამმზომის შედეგად დაფიქსირდა ოპერაციის რეკორდული დრო.

როგორც შემდეგ ბესინგერმა გვითხრა, აინტერესებდა, კიდევ თუ იყო ასეთი შემთხვევა. ბესინგერმა მოიძია ოპერაცია ინტერნეტში და დაადასტურა, რომ მისი მეუღლისა და შვილის გადამრჩენელმა ელგუჯა ტარტარაშვილმა მსოფლიოს მასშტაბით რეკორდულ დროში ჩაატარა ოპერაცია. მსოფლიო მასშტაბის რეკორდი დაამყარა.

ბესინგერმა გამოაქვეყნა სტატია ამერიკაში ქართველ ემიგრანტთა გაზეთში „ივერია“-ში რუბრიკით „გინესის ახალი რეკორდი თბილისის სამშობიაროში“.

*– ახლაც „ჩქაროსნული“ მეთოდით აკეთებთ საკეისრო კვეთას?*

– როდესაც მუცლადმყოფ ნაყოფს ტვინში ჟანგბადის ნაკლებობის გამო უვითარდება შეუქცევადი პროცესები, ან სახეზეა სამეანო პათოლოგიები, როდესაც ფიზიოლოგიური გზით შეუძლებელია მშობიარობა და არის დედისა და ნაყოფისათვის სასიცოცხლო ჩვენება, მშობიარობის „ჩქაროსნული“ მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია.

ხშირად ელგუჯა ტარტარაშვილის პროფესიული შეუვალობის შედეგია, რომ ათასგზის დასმული „განწირული“ დიაგნოზის შემდეგ ოჯახში რამდენიმე ბავშვიც კი დაბადებულა.

**ელგუჯა ტარტარაშვილი:**

– რამდენიმე წლის წინ, როდესაც აშშ-ში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი ი.ბ. 33 წლის მკურნალობდა უშვილობაზე, საშვილოსნოს მიომის დიაგნოზით, 3 წლის განმავლობაში უშედეგოდ. ბოლოს ამერიკელმა პროფესორმა შესთავაზა გაკეთებულიყო რადიკალური ოპერაცია – საშვილოსნოს ამოკვეთა.

*– თქვენთან როგორ მოხვდა ეს პაციენტი?*

– პაციენტმა გადაწყვიტა ოპერაცია გაეკეთებინა საქართველოში. მიმართა თბილისის ერთ-ერთ სამშობიარო სახლს, სადაც შემთხვევით კოლექტივის ერთ-ერთმა წევრმა, გაიგორა მისი წარმომავლობის შესახებ, ურჩია გაეკეთებინა ეს ოპერაცია თავისივე ქალაქში ანუ გორში, სადაც იმ პერიოდში ვმუშაობდი.

გავუკეთე ოპერაცია საშვილოსნოს შენარჩუნებით. პაციენტი ბინაზე გაეწერა 4 დღეში. დაბრუნდა ამერიკაში. შემდგომში დაორსულდა. ორსულობის დროს მკურნალმა ექიმმა, პროფესორმა, რომელმაც საშვილოსნოს ამოკვეთა შესთავაზა თავის დროზე, განცვიფრებულმა მოითხოვა ჩატარებული ოპერაციის ისტორიის ამონაწერი. ამის შემდეგ მან გაუკეთა საკეისრო კვეთა პაციენტს, რომელსაც შეეძინა ბიჭი.

ამერიკელმა ექიმმა პაციენტს ურჩია, შვილისთვის ქართველი პროფესორის სახელი დაერქმია.

ჩვენ მხოლოდ ერთის დამატება შეგვიძლია, სენსაციური და უნიკალური ოპერაციები საქართველოშიც ტარდება და პროფესიონალთა დამსახურებით ბევრი ქალი დედა ხდება.

# ირაკლი ყიფიანი: „5%-იანი ეკონომიკური ზრდა საქართველოსთვის დამღუპველია“

მთავრობამ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი პარლამენტში უკვე გადაგზავნა. დოკუმენტის მიხედვით, ბიუჯეტის მოცულობა 12, 364 მლრდ. ლარით განისაზღვრა, ხარჯები 9,504 მლრდ. ლარია. პროექტის მიხედვით, მომავალი წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 949 მილიონი ლარით მეტია, ვიდრე 2017 წლის ბიუჯეტის. რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „კომერსანტის თემა სალომე სოსელიასთან ერთად“ განაცხადა.

– ბიუჯეტის პირველადი პროექტიდან ჩანს, რომ რეალური რეფორმების გატარება 2018 წელსაც არ იგეგმება, ეკონომიკური მიმართულებით სიახლეს ვერ ვხედავთ. მთავრობის შენახვის ხარჯები გაზრდილია, ანუ იმაზე მეტი დაგვიჯდება 2018 წელს, ვიდრე 2017 წელს გვიჯდებოდა. ეს ნიშნავს, რომ მთავრობის დაპირება თითქოს ისინი განახორციელებდნენ რეალურ ბიუროკრატიულ რეფორმას, ისევ დაპირებად რჩება.

კარგი ამ ბიუჯეტში არის ის, რომ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე კეთდება აქცენტი და 1 მილიარდით მეტი დაიხარჯება 2018 წელს. თუმცა აქაც ყურადღება უნდა გავამახვილოთ, რომ ამ თანხიდან ძირითადად არის აღებული ვალი დონორი ორგანიზაციებისგან, ანუ შემდეგ უნდა მოხდეს ამ თანხების დაფარვა, – ამბობს ირაკლი ყიფიანი.

მისივე განმარტებით, მთავრობამ ყურადღება უნდა გაამახვილოს ქვეყნის პოზიციების გაუარესებაზე.

– რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, სადაც საქართველოს პოზიციები როგორც გამჭვირვალობის, ასევე ეფექტურობის მიმართულებით გაუარესდა. ეს კი იმას ნიშნავს, ბიუჯეტი სულ რომ იდეალური იყოს, კითხვის ნიშნები მაინც დარჩება მთავრობის ეფექტურ მუშაობასთან დაკავშირებით. გამჭვირვალობის თვალსაზრისით კარგია, თუ ვნახავთ აუდიტის დასკვნას, როდესაც აუდიტი საუბრობს ტენდერების დაახლოებით 20%-ზე, რაც არის პირდაპირი ხელშეკრულებით გაფორმებული. შესაბამისად, ეს არის იმ გაუმჭვირვალობის შედეგი, რომელსაც აუდიტის დასკვნებიც გვიჩვენებს, – აცხადებს ფინანსისტი.

მანვე მთავრობისა და ბიზნესის ურთიერთობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ დაგეგმილი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლით საქართველო კიდევ დიდი ხანი დარჩება ჩამორჩენილი ქვეყნების სიაში.

– თუ შევხედავთ ბიუჯეტზე თანდართულ ფურცლებს, ვნახავთ, რომ მაქსიმალური ზრდა გვექნება 7%-იანი და საუკეთესო შემთხვევაში ისიც 2021 წელს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ამ ტემპით და ამ პროგნოზით გავაგრძელებთ, დავრჩებით ჩამორჩენილი ქვეყნების რიცხვში. 5%-იანი ეკონომიკური ზრდა ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, არის დამღუპველი.

პირველ რიგში, ჩვენ გვჭირდება ეფექტური ხელისუფლება, რომელსაც შეეძლება პროგნოზირების შეტანა ბიზნესგარემოში. მეორე არის სასამართლო და საკუთრების უფლება, ამ მიმართულებითაც დავიწიეთ უკან საერთაშორისო კვლევებში. სამუშაო ძალაც კი არ არის კონკურენტუნარიანი, რას უნდა ვპირდებოდეთ ინვესტორს, რომელსაც უნდა საქართველოში შემოვიდეს და ფული ჩადოს ეკონომიკაში. უნდა გვქონდეს მოწესრიგებული სასამართლო, უნდა ვპირდებოდეთ მცირე ზომის ხელისუფლებას, მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურას... მთავრობაში ძალიან დიდი ფულია გაფლანგული სსიპ-ებში და აიპ-ებში, რომლებიც სრულიად გასაუქმებელია. თანხა არსაიდან არ იყო მოსატანი, ნორმალურად უნდა დაიხარჯოს ის თანხა, რაც უკვე ბიუჯეტშია. ჩვენ გვჭირდება, რომ სწორად ვახორციელებდეთ გარკვეული ტიპის რეფორმებს, ჩვენი ეკონომიკური ზრდა ბევრად მაღალი უნდა იყოს, ვიდრე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ზრდა. გერმანიაზე მეტი ეკონომიკური ზრდა უნდა გვქონდეს, – განაცხადა ირაკლი ყიფიანმა.



**კომერსანტი**

# ნიკა ქურდიანი: „თუ გარკვეული წესები არ დადგინდა, ბაზარზე იქნება ქაოსი“

– არ ვარ ბაზარზე ზედმეტი რეგულაციების მომხრე, მაგრამ თუ გარკვეული წესები არ დადგინდა, ბაზარზე იქნება ქაოსი, – აცხადებს თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე ნიკოლოზ ქურდიანი.

ბანკირმა ეს განცხადება ფინანსური პირამიდების შესახებ ეროვნული ბანკის საინფორმაციო კლიპის წარდგენისას გააკეთა. ის მიიჩნევს, რომ კორპორაციული ფასიანი ქაღალდების განთავსებისას გარკვეული ჩარჩოები უნდა არსებობდეს, რათა მოსახლეობა უფრო დაცული იყოს.

ქურდიანი იმასაც აღნიშნავს, რომ სადეპოზიტო განაკვეთები არ შეიძლება ამოვარდნილი იყოს ბაზრიდან, როგორც ამას, თანხის მოზიდვის მიზნით, კერძო შემთავაზებლები აკეთებენ.

მოსახლეობის ფინანსური პირამიდებისგან დაცვისთვის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კანონის გამკაცრებასაც აანონსებს. კრიმინალის აღმოფხვრისთვის რა ცვლილებები იგეგმება ეროვნული ბანკის შესახებ კანონში, კობა გვენეტაძეს არ დაუკონკრეტებია.



**კომერსანტი**

# ენერგეტიკის მინისტრს ახალი მოადგილე ჰყავს

ენერგეტიკის მინისტრს ახალი მოადგილე ჰყავს.

როგორც სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს, მინისტრის მოადგილის თანამდებობა რომეო მიქაუტაძემ დაიკავა.

რომეო მიქაუტაძე ამ დრომდე, „საქრუსენერგოს“ გენერალური დირექტორი იყო, მანამდე, 2010-2013 წლებში კი, გენერალური დირექტორის მოადგილე.

წინა წლებში მას ასევე ეკავა „საქრუსენერგოს“ შესყიდვების სამსახურის უფროსის, ასევე „ხრამჰესი 1“-სა და „ხრამჰესი 2“ -ს გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობა.

აქამდე ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეები იყვნენ მარიამ ვალიშვილი, ირაკლი ხმალაძე და თორნიკე რიჟვაძე. ხმალაძემ თანამდებობა ცოტა ხნის წინ, ვალიშვილმა კი გუშინ დატოვა.

**ბიპიენი**

# ლაშა პაპაშვილი: „ბიუროკრატია ბიზნესს გარკვეულ პრობლემებს უქმნის“

მოგების გადასახადის ესტონურ მოდელს, მისი დანერგვიდან 9 თვეში, ბიზნესმენი ლაშა პაპაშვილი ეკონომიკისთვის პოზიტიურ ფაქტორად ასახელებს.

ბიზნესმენი GBC– სთან საუბრისას აცხადებს, რომ თავადაც მსხვილ ინვესტორთა შორისაა, უკვე წლებია 15-20 მილიონის ფარგლებში რეინვესტირებას ახორციელებს, ამ თანხაზე მოგების გადასახადის დაზოგვა კი, „ძალიან კარგია“.

ინვესტორი ეკონომიკურ ვითარებასაც აფასებს, მიიჩნევს, ეკონომიკის ზრდაზე მისი პროგნოზი მთავრობისას ემთხვევა, რაც წელს 4-5%-ის დიაპაზონშია ნავარაუდევი. პაპაშვილი წლის ბოლოს არც ლარის მკვეთრ ვარდნას ელის.



– არ მგონია კურსი წლის ბოლოს დიდად გაგვექცეს, – ამბობს პაპაშვილი.

– რასაკვირველია, მაღალი ინფლაცია ცუდია, თუმცა მსოფლიოში ეკონომიკური მდგომარეობა დასტაბილურდა, რაც ჩვენზეც აისახება და მაღალი ინფლაციის მიუხედავად, რეგიონში მაინც ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში ვართ. შესაბამისად, ინვესტორების მიმზიდველობის თვალსაზრისით მაღალი ინფლაცია ხელისშემშლელი ფაქტორი ნამდვილად არაა“, – ამბობს პაპაშვილი და აღნიშნავს, რომ ბიუროკრატია დღეს მაინც გარკვეულ პრობლემებს უქმნის ბიზნესს.

**კომერსანტი**

# ელექტროენერგიის ჯამური იმპორტი 2017 წელს ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწევს



ელექტროენერგიის ჯამური იმპორტი 2017 წელს ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწევს.

ამის შესახებ საინვესტიციო კომპანია „გალტ&თაგარტის ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვაშია აღნიშნული.

მიმოხილვის თანახმად, ელექტროენერგიის წმინდა იმპორტი 2017 წელს 1,007.4 გვტ. საათს მიაღწევს.

– 2016 წელს საქართველო ელექტროენერგიის წმინდა ექსპორტიორი იყო, თუმცა მხოლოდ 80.6 გვტ. საათით. 2017 წლის პირველი რვა თვის მონაცემებით, ელექტროენერგიის ექსპორტი წლიურად 22.6%-ით გაიზარდა და 684.7 გვტ. საათი შეადგინა, ხოლო იმპორტი 962.3 გვტ. საათამდე გაორმაგდა.

განახლებული წლიური საპროგნოზო ბალანსის მიხედვით, ელექტროენერგიის ჯამური იმპორტი 2017 წელს ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწევს და 1,692.0 გვტ. საათს (+253.3% წ/წ) გაუტოლდება, წმინდა იმპორტი კი 1,007.4 გვტ. საათი იქნება, – ნათქვამია მიმოხილვაში.

**ბიპიენი**

## სარფში ფსიქოტროპული მედიკამენტები აღმოაჩინეს




საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, 322 კაფსულა ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტები აღმოაჩინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, საქონელი ქვეყანაში აზერბაიჯანის მოქალაქეს ნ.შ-ს შემოჰქონდა.

მათივე ცნობით, საქმის მასალები, შემდგომი რეაგირებისათვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა.

## სადახლოზე 3.600 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს



საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო-საავტომობილო“ 3.600 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

მათი ცნობით, შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული საქონელი სომხეთის მოქალაქის ნ.ს-ს მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის დათვალიერებისას გამოავლინეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევ მოქალაქეს ჩამოერთვა არადეკლარირებული საქონელი, სატრასპორტო საშუალება და შეეფარდა ფულადი ჯარიმა 1.000 ლარის ოდენობით.

## მერაბ ღოღობერიძეს ოპერაციას უკეთებენ



– მერაბ ღოღობერიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, – აცხადებს ბრალდებულის ადვოკატი. პაატა შავაძის თქმით, ღოღობერიძესთან კომუნიკაცია ჰქონდა. მისი დაცვის ქვეშ მყოფმა უთხრა, რომ ხვალ ოპერაცია ჩაუტარდება. ქირურგიული ჩარევისთვის რომელ სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანენ ბრალდებულს, უფლებადამცველმა არ იცის. პაატა შავაძემ იცის, რომ მერაბ ღოღობერიძე სასამართლოში ჩანიშნულ შემდეგ პროცესსაც ვერ დაესწრება.

გუშინ 11-12 მარტის აქციის ორგანიზებაში ბრალდებული მერაბ ღოღობერიძისა და ირაკლი ჩხვირკიას სასამართლო პროცესი არ შედგა. ბათუმის საქალაქო სასამართლოში გუშინ კვლავ მოწმეები უნდა დაეკითხათ.

მოსამართლე დავით მამისეიშვილის განცხადებით, სასამართლოში დღეს დოკუმენტი მიიღეს, რომელშიც ღოღობერიძე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაზე საუბრობდა და განმარტავდა, რომ აღნიშნულის გამო ის დღევანდელ პროცესზე ვერ გამოცხადდებოდა.

– სასჯელაღსრულების დაწესებულებამ არ მოგვაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, იქნებოდა თუ არა დღეს მერაბ ღოღობერიძის ბადრაგირება შესაძლებელი. ნამდვილად არ ველოდები მათი მხრიდან მსგავს ქმედებას. ეს ხელს შეგვიშლის მოწმეების დაკითხვასა და მტკიცებულებების გამოკვლევაში. კეთილი უნდა ინებონ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა და შესაბამისი აქტი წარმოადგინონ, – განაცხადა დავით მამისეიშვილმა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში სხდომა 7 ოქტომბერს ჩაინიშნა.

# დავით ოთხმეზურის მკვლელობის საქმეზე სააპელაციო სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა



დავით ოთხმეზურის მკვლელობის საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. საქმის განმხილველმა მოსამართლეთა კოლეგიამ, მანუჩარ კაპანაძის თავმჯდომარეობით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, გამართლებულ ასლან ბეჟანიძის მიმართ, ძალაში დატოვა.

ცნობილი ისტორიკოსის, მარიკა ლორთქიფანიძის შვილიშვილის, დავით ოთხმეზურის მკვლელობა 2004 წლის 27 ოქტომბერს, თბილისში, პეკინისა და მიცკევიჩის ქუჩების კვეთაზე მომხდარ შელაპარაკებას მოჰყვა.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, 2004 წლის 27 ოქტომბერს, დაახლოებით, 19:00 საათზე, პეკინის გამზირზე, დავით ოთხმეზურსა და ასლან ბეჟანიძეს შორის მობილურ ტელეფონთან დაკავშირებით კონფლიქტი წარმოიშვა, რა დროსაც ასლან ბეჟანიძემ დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა დავით ოთხმეზურს, მათ შორის ერთ-ერთი გულმკერდის არეში და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დავით ოთხმეზური რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

საქმე პროკურატურამ 12 წლის შემდეგ გახსნა. 2016 წლის 26 მარტს, ასლან ბეჟანიძე დააკავეს. სასამართლო პროცესები 9 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. თუმცა, 2016 წლის 22 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, გიორგი დარახველიძის გადაწყვეტილებით, ასლან ბეჟანიძე უდანაშაულოდ ცნეს და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. აღნიშნული გადაწყვეტილება პროკურატურამ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. თუმცა, ასლან ბეჟანიძე სააპელაციო სასამართლომაც უდანაშაულოდ ცნო.

# გუკა რჩეულიშვილი: „დაზარალებულებს შევთავაზეთ გამოსავალი, ახლა მათი გადასაწყვეტია, თანახმა არიან თუ არა“



– დაზარალებულებს შევთავაზეთ გამოსავალი, ახლა მათი გადასაწყვეტია, თანახმა არიან თუ არა ამ გამოსავალს დათანხმდნენ, – ამის შესახებ „ცენტრ პოინტის“ სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელმა გუკა რჩეულიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა. მისი თქმით, M2-ის შეთავაზება ჩიხური მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთი შესაძლებლობაა.

– ჯერჯერობით არანაირ პოზიციაზე არ შევთანხმებულვართ. დაზარალებულებს შევთავაზეთ გამოსავალი. ახლა მათი გადასაწყვეტია, თანახმა არიან თუ არა. ასეთი ჩიხური მდგომარეობიდან ეს ერთადერთი გამოსავალია. ამ მომენტში უკეთესს ვერც ერთ მხარეს ვერ შევთავაზებთ.

კომპანია, რომელიც იყიდის „ცენტრ-პოინტს“, რა თქმა უნდა, გამოთქვამს მზადყოფნას ყველა დაზარალებული დაკმაყოფილდეს. მაგრამ, პირველ რიგში, თავად დაზარალებულებმა უნდა გამოთქვან სურვილი მოლაპარაკებების გაგრძელების“, – განაცხადა რჩეულიშვილმა.

რაც შეეხება საპროცესო შეთანხმებას, მისი თქმით, თუ ეს გარიგება დაიდება, შემდეგ უკვე გაფორმდება საპროცესო შეთანხმება.

თბილისის პროკურატურაში, „ცენტრ პოინტის“ დაზარალებულების,M2 -ის, „ცენტრ პოინტისა“ და პროკურატურის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა დღეს გაიმართა.

როგორც დაზარალებულები აცხადებენ, შეხვედრაზე M2-მა გააკეთა პრეზენტაცია, თუ როგორ მოხდება დაზარალებულების დაკმაყოფილება კომპანიის მიერ „ცენტრ პოინტის“ აქტივების ყიდვისა და ვალდებულებების გადაბარების შემთხვევაში.

– 2020 წლისთვის, სავარაუდოდ, ყველა ობიექტი დასრულდება. ამ ხელშეკრულებების ცვლილებები ჩვენთვის მტკივნეულია, რადგან ხელშეკრულებები თეთრ კარკასზე გვქონდა, ახლა კი გვთავაზობენ შავ კარკასს. თუმცა, მთლიანობაში შემოთავაზება, სავარაუდოდ, მისაღები იქნება, რადგან ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვაქვს. რაც შეეხება საპროცესო გარიგების გაფორმებას, ამის სასტიკად წინააღმდეგი ვართ. მათ ვინც 320 მილიონი მიითვისა და გაფლანგა, ერთი წელიც არ უნდათ ციხეში ჯდომა. სანამ არ დასრულდება მშენებლობები, ისინი ციხეში უნდა ისხდნენ, – განაცხადეს დაზარალებულებმა.

# „იარაღის თავში ჩარტყმით ძირს დააგდო დიასახლისი და ხელ-ფეხი შეუკრა“

დიდ დიღომში მომხდარ ყაჩაღობის ფაქტზე ბრალდებულს სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა. ამის შესახებ „ნიუპოსტს“ თბილისის საქალაქო სასამართლოდან აცნობეს.

საქმის მასალების თანახმად, რამდენიმე დღის წინ, დიდ დიღომში, პეტრიწის ქუჩაზე ბრალდებულმა, სხვა პირთან ერთად, ჯგუფურად, უკანონოდ შეაღწია ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში და იარაღიანი ხელის თავში ჩარტყმით ძირს დააგდო დიასახლისი და ფიზიკური ძალისა და ე.წ. „წებოვანი ლენტის“ გამოყენებით, ხელ-ფეხი შეუკრა. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, ბრალდებული და მისი თანამზრახველი პირი, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ ფულად თანხას, 2 ცალ მობილურ ტელეფონსა და სხვა ნივთებს.

– თბილისის საქალაქო სასამართლომ, ყაჩაღობის ფაქტზე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა შეუფარდა. ლაშა თ.-ს, ბრალად ედება ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის საშიში




ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით.

საქმე ეხება რამდენიმე დღის წინ, ქ. თბილისში, დიდ დიღომში, პეტრიწის ქუჩაზე მომხდარ ყაჩაღურად თავდასხმის ფაქტს. ბრალდებულმა, სხვა პირთან ერთად, ჯგუფურად, უკანონოდ შეაღწია ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში და იარაღიანი ხელის თავში ჩარტყმით ძირს დააგდო დიასახლისი და ფიზიკური ძალისა და ე.წ. „წებოვანი ლენტის“ გამოყენებით, ხელ-ფეხი შეუკრა. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, ბრალდებული და მისი თანამზრახველი პირი, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ ფულად თანხას, 2 ცალ მობილურ ტელეფონსა და სხვა ნივთებს.

სასამართლომ, აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევისას მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ბრალდებულს ბრალად ედება ძალადობრივი ხასიათის, განზრახი, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის შესაძლო ჩადენა, რომელიც სასჯელის სახედ 8-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ასევე, გამოძიების ფარგლებში დასადგენია დანაშაულში შესაძლო თანამონაწილე პირის ადგილსამყოფელი. ამდენად, მიმალვის, მოწმეებზე ზემოქმედებისა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხეთა გათვალისწინებით, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია, აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენება.

აღნიშნულ საქმეზე წინასასამართლო სხდომა გაიმართება თბილისის საქალაქო სასამართლოში, 2017 წლის 21 ნოემბერს 11 საათზე, – ნათქვამია განცხადებაში.

## რუსთავში 12 წლის გოგონაზე 40 წლის კაცმა იძალადა



რუსთავში 12 წლის გოგონაზე ძალადობის ფაქტზე შსს-მ გამოძიება ცემის მუხლით დაიწყო. არსებული ინფორმაციით, არასრულწლოვანს თავს 40 წლამდე ასაკის მამაკაცი დაესხა.

თვითმხილველების ინფორმაციით, გოგონა სკოლიდან სახლში ბრუნდებოდა, რა დროსაც მას უცნობი მამაკაცი სახლთან თავს დაესხა და სარდაფში ძალით ჩაიყვანა. ყვირილზე მეზობლები გამოვიდნენ და თავდამსხმელმა გაქცევა მოახერხა.

მომხდარის შესახებ მეზობლებმა პოლიციას აცნობეს. თვითმხილველების ინფორმაციით, გოგონა შოკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რის გამოც ადგილზე სასწრაფო დახმარების ბრიგადაც გამოიძახეს.

როგორც ,,ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, დაფიქსირდა არასრულწლოვანის ცემის ფაქტი, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილით, რაც ცემას ან სხვაგვარ ძალადობას გულისხმობს, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

## ბათუმში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა



ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილზე, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა, ერთი პირი კი დაშავდა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

## ბათუმში ნარკოდანაშაულისთვის თურქი ცოლ-ქმარი დააკავეს



– შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები, ცოლ-ქმარი – 1981 წელს დაბადებული მ.ქ. და 1989 წელს დაბადებული უ.ი. ნარკოდანაშაულისთვის ბათუმში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ 300 აბი და 64,886 გრამი ჰეროინი ამოიღეს.

ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად, უ.ი.-ს ნარკოტიკული საშუალება „მდმა“-ს, მეტამფეტამინის და ტეტრაჰიდროკანაბინოლის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით), – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ტრამპი პუერტო-რიკოში ჩავიდა



აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი პუერტო-რიკოში ჩავიდა. ის გუბერნატორ როსელის შეხვდა. ტრამპი სტიქიით დაზარალებულებსაც გაესაუბრა.

აშშ-ის პრეზიდენტმა გამოთქვა მზადყოფნა, სრულფასოვანი დახმარება გაუწიოს სტიქიით დაზარალებულებს.

# პუტინმა აშშ-ის ახალი ელჩი მიიღო



რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პროტესტი გამოთქვა სანფრანცისკოში საკონსულოს დახურვის გამო. რუსები ამტკიცებენ, რომ ამერიკელები მათ დიპლომატიურ საკუთრებას დაეპატრონნენ. კრემლის შეხედულებები კვლავ ვლადიმერ ჟირინოვსკიმ გაახმოვანა:

– მომხდარის შემდეგ რუსეთი აშშ-სთან დიპლომატიურ ურთიერთობებს გაწყვეტს!

ამავე დროს, პრეზიდენტმა პუტინმა აშშ-ის ახალი ელჩი ჯონ ჰანტსმანი მიიღო და სათანადო რწმუნებები გადასცა.

აშშ-ის ახალი ელჩი რუსეთში მუშაობას შეუდგა.

# აზარტული მოთამაშე და მდიდარი ბუღალტერი — ვინ იყო სტივენ პადოკი



ლას-ვეგასის ტრაგედიამ მთელი მსოფლიო შეძრა. პირველმა შოკმა გაიარა და მთელი სიმწვავით დადგა საკითხი:

– რამ განაპირობა ეს ტრაგედია?

ისლამურმა სახელმწიფომ ლას-ვეგასში მომხდარ ხოცვა-ჟლეტაზე პასუხისმგებლობა აიღო. ამერიკელი ძალოვნები ამ ვერსიას სკეპტიკურად ეკიდებიან.

– ჯერჯერობით ეს არ არის დადასტურებული, – აცხადებენ ისინი.

ლას-ვეგასში სროლა 64 წლის სტივენ პადოკმა ატეხა. პენსიაში გასვლამდე ის ბუღალტრად მუშაობდა. პადოკი საკმაოდ შეძლებული კაცი იყო, ჰქონდა შესანიშნავი სახლ-კარი, ჰყავდა არათუ მანქანა, არამედ ორი თვითმფრინავიც. პადოკი დედასთან ერთად ცხოვრობდა. მისი შემოსავლის ძირითადი წყარო საცხოვრებელი ფართის გაქირავება იყო. ამით ის საკმაო ფულს შოულობდა.

პადოკს არმიაში არასოდეს უმსახურია. მიუხედავად ამისა, მის სახლში პოლიციამ იარაღის მთელი არსენალი აღმოაჩინა. მეზობლები პადოკს ახასიათებენ როგორც უცნაურ კაცს, რომელიც წონასწორობიდან ხშირად გამოდიოდა. დადგენილია ისიც, რომ პადოკი კაზინოს ხშირი სტუმარი იყო. ის ბევრს და აზარტულად თამაშობდა.

პრეზიდენტმა ტრამპმა პადოკი დაახასიათა როგორც ფსიქიკური ავადმყოფი, რომელსაც უზარმაზარი პრობლემები ჰქონდა. პრეზიდენტმა მეტი დაკონკრეტება არ ისურვა.

ლას-ვეგასის შერიფი ჯოზეფ ლომბარდიც იგივეს ამბობს:

– პადოკი ფსიქიკურად იყო დაავადებული!

ზოგიერთი ჟურნალისტი გამოთქვამს ვარაუდს, რომ პადოკის ფსიქიკური დაავადება აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილებაში გამოიხატებოდა. იმასაც ამტკიცებენ, რომ დიდი თანხა წააგო და ამის გამო ძალზე აგრესიული გახდა. როგორც ჩანს, ამის გამო ატეხა სროლაც, რასაც უამრავი ადამიანი შეეწირა.

# კიევში ატო-ს გმირებს ძეგლი აუგეს




დონბასში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაციის (ატო) მონაწილეებს კიევში ძეგლი დაუდგეს. საუბარია პირველ მოხალისეებზე, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად რუსული არმიის წინსვლა შეაჩერეს.

– ეს ის პირტიტველა ბიჭები იყვნენ, რომლებმაც ხეირიანად სროლაც კი არ იცოდნენ, მაგრამ ბრძოლაში უყოყმანოდ გადაეშვნენ. იანუკოვიჩი ახალი დამხობილი იყო. უკრაინას იმხანად არც არმია ჰყავდა, არც უშიშროება. რუსეთმა ამით ისარგებლა, წაგვართვა ყირიმი, შემდეგ მთელი ჩვენი აღმოსავლეთ-სამხრეთ რეგიონის დასაკუთრება მოინდომა. სწორედ ამ ბიჭების დამსახურებაა, რომ მოსკოვის პროექტი „ნოვოროსიის“ შექმნის შესახებ ჩავარდა, – წერს უკრაინული მედია.

ძეგლთან ხალხის ნაკადი არ კლებულობს. ძეგლიც ცოცხალი ყვავილებითა და გვირგვინებითაა სავსე.

– რა თქმა უნდა, ისინიც გვეცოდებიან, ვინც მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა, მაგრამ ის მაინც სხვისი ომი იყო. ჩვენთვის, უკრაინელებისათვის, სამამულო ომი დღეს მიმდინარეობს, – განაცხადა ერთ-ერთმა კიეველმა მე-5 არხის ეთერიდან.

# ერდოღანი ისრაელს ქურთების რეფერენდუმის მოწყობას აბრალებს



თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ ერდოღანმა ქურთების რეფერენდუმის ორგანიზებაში ისრაელი დაადანაშაულა. ერდოღანმა ხაზი გაუსვა, რომ ისრაელის დაზვერვა „მოსადს“ ქურთ სეპარატისტებთან დიდი ხნის კავშირები აქვს.

– ყურადღება მიაქციეთ: ყველა, ვინც რეფერენდუმზე მივიდა, ისრაელის დროშებს აფრიალებდა! ასეთი რამეები შემთხვევით არ ხდება, – თქვა ერდოღანმა.

ისრაელის პრემიერმა ნეტანიაჰუმ ბრალდება უარყო. მან განაცხადა, რომ ისინი მხოლოდ ქურთების გულშემატკივრები არიან და მეტი არაფერი.

– ისრაელი ქურთებს მხარს უჭერს, მაგრამ არ ცდილობს, მათ გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინოს. ჩვენ ქურთები არ წაგვიქეზებია და არც დაგვიფინანსებია! რეფერენდუმის ჩატარება მათ დამოუკიდებლად გადაწყვიტეს, – ამბობს ნეტანიაჰუ.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**კალეიდოსკოპი**

# ბანგკოკში მეფის დაკრძალვასთან დაკავშირებით სამეფო სასახლეს დახურავენ



ბანკოგში სამეფო სასახლე და ბუდას ზურმუხტის სამლოცველო მეფე პხუმილონ ადულიადეტის დაკრძალვისთვის მზადებასთან დაკავშირებით დაიხურება. შეგახსენებთ, რომ მეფე 2016 წლის 13 ოქტომბერს გარდაიცვალა.

ტურისტებს შორის პოპულარული ღირსშესანიშნაობები 30 ოქტომბრამდე იქნება მიუწვდომელი, ხოლო დაკრძალვის ცერემონია 23-დან 29 ოქტომბრის ჩათვლითაა დანიშნული. კრემაცია 26 ოქტომბერს შედგება. ეს დღე ტაილანდში დასვენების დღედაა გამოცხადებული და ამიტომ ტურისტები მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ ამ დღეს მთელ ქვეყანაში დაკეტილი იქნება ბანკები და სხვა ოფიციალური დაწესებულებები.

ქვეყნის ტურიზმის სამმართველო ტურისტებს სთხოვს, პატივისცემით მოეპყრან ტაილანდის მცხოვრებთა გრძნობებს მათთვის ამ სამწუხარო დღეებში. სასურველი იქნება, რომ ქვეყანაში სტუმრად ჩასულები თავმდაბლად იქცეოდნენ და ასეთივე ჩაცმულობით გამოირჩეოდნენ, ამასთან არა მხოლოდ ბანკონგში, არამედ მთელ სამეფოში.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტეს, პროსტატიტისა და გარეთა სასქესო ორგანოების ანთებით დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს. გვაქვს სქესობრივი კონტაქტების დასამყარებლად „ერექტორები“. კონსულტაცია უფასო. ტელ.: 214-07-72; 299-95-33; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული რჩევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა – კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიან-კუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.

● გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა – პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.

● ეკოლოგიურადსუფთაპროდუქციაოზონატორიარის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# დადიანის მემორიალზე ნახევარფინალისტები გაირკვნენ

დასრულდა დუდუ დადიანის მემორიალური ტურნირის ჯგუფური ეტაპი და გაირკვა ის 4 გუნდი, რომლებიც თასისთვის ბრძოლას ნახევარფინალიდან გააგრძელებენ.

ბოლო დღეს, ოლიმპიურ სასახლეში გამართული 3 მატჩიდან 2 გაიმართა. მგზავრებს ტრავმირებული მოთამაშეების გამო მატჩის განაცხადში შესაყვანად საკმარისი მოთამაშეები ვერ მოუგროვდა და დინამოსთან ტექნიკური წაგება – 0:20 ჩაეთვალა. შესაბამისად, დინამო, რომელსაც პირველ ტურში თსუ-ჰიუნდაი ჰყავდა დამარცხებული, ნახევარფინალში გავიდა, ხოლო თავად სტუდენტები დარჩენილ მატჩებზე იყვნენ დამოკიდებულნი. ოლიმპელებმა 1 მატჩი მოიგეს, 1 წააგეს და სხვა მეორეადგილოსნებს – სოხუმსა და თსუ-ჰიუნდაი ბურთების შეფარდებით აჯობეს.

სოხუმზე ცოტა დაგასწარით: ბოლო ნახევარფინალისტის ვინაობა ქუთაისისა და სოხუმის დაპირისპირებაში გამოვლინდა. სოხუმელებს 10 ქულით მარცხიც აძლევდათ ხელს, რომ ნახევარფინალში საუკეთესო მეორეადგილოსნის სტატუსით გასულიყო, ხოლო ქუთაისს მხოლოდ 2-ქულიანი წაგება.

სოხუმელებმა პირველი ტაიმი დამაჯერებლად ჩაატარეს და საკუთარი გულშემატკივარი იმაში დააჯერეს, რომ გამარჯვებაც შეეძლოთ.



ბ ჯგუფში პირველი ადგილისთვის რუსთავი და ოლიმპი შეხვდნენ. რუსთაველებს პირველ ტურში დამარცხება ჰქონდა კაკტუსთან, თუმცა ოლიმპთან 11 ქულით მოგება მათ ჯგუფში პირველ ადგილს უნაღდებდა და ამ ამოცანას ქვემოქართლელებმა კარგად გაართვეს თავი. რუსთაველებმა თავიდანვე დამაჯერებლად დაიწყეს და იყო მომენტი, 20-ქულიანი უპირატესობაც მოიპოვეს, მაგრამ ოლიმპმა ფარ-ხმალი არ დაყარა და მეოთხე პერიოდში იმდენი მოახერხა, გამარჯვების რეალური შანსი გაუჩნდა, თუმცა... დასკვნით წუთებში შესანიშნავი თამაშის წყალობით, რუსთავმა მეტოქეს 80:65 სძლია და პირველ ადგილზე გავიდა.

საბოლოოდ ოლიმპიც გავიდა ნახევარფინალში, თუმცა საუკეთესო მეორე ადგილოსნის სტატუსით. აკი იგებდნენ კიდეც ქულით, მაგრამ ძალა არ ეყოთ. სოხუმელებმა ბოლო პერიოდი სრულად ჩააგდეს და შეხვედრა 16 ქულის სხვაობით – 76:91 დათმეს.

ამის მთავარი მიზეზი ქუთაისია, რომელიც ერთი შეხედვით კარგად დაბალანსებული, სოლიდური გუნდია. წინასწარვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქუთაისი თბილისის დინამოსთან ერთად სუპერლიგის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იქნება. მეორე მატჩია ბომბარდირობას არავის უთმობს წინახაზელი ბექა ბექაური, რომელმაც ამჯერად 22 ქულა ჩააგდო. კარგად ირჯება ჯონათანლი, რომელმაც 17 ქულასთან ერთად 7 პასიც გააკეთა.

მაშ ასე: ნახევარფინალში, დინამო, რუსთავი, ქუთაისი და ოლიმპი ითამაშებენ. გუნდები კენჭისყრის შედეგად დაწყვილდებიან.

# ლოპეტეგი: პიკე ესპანეთის ნაკრებში დარჩება

ბოლო დროს დიდი აჟიოტაჟია ატეხილი ესპანეთის ნაკრებსა და კატალონიაში გამოწვეული ამბებით. პირველ რიგში ყველა ბარსელონას ფეხბურთელ ხერარდ პიკეს შესახებ საუბრობს. ევროპული მედიაც აჭრელებულია პიკეს ირგვლივ მიმდინარე მოვლენებით.

დავიწყოთ თავიდან: პიკემ კატალონიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმს მხარი დაუჭირა, შემდეგ კი ესპანეთის ნაკრებში სავარჯიშოდ გამოცხადდა. ესპანეთის ნაკრების ვარჯიში დაწყებიდან 23 წუთის შემდეგ შეწყდა. მიზეზი კი ის იყო, რომ გულშემატკივრები პიკეს გამუდმებით შეურაცხყოფას აყენებდნენ.



„ფურია როხას“ ვარჯიში გულშემატკივრებისთვის ღია იყო. პოლიციამ მათ პროვოკაციული ბანერები ჩამოართვა, მაგრამ გულშემატკივრების სტვენასა და შეძახილებს ვერაფერი მოუხერხა. ისინი პიკეს შეურაცხყოფას აყენებდნენ იმის გამო, რომ ის კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრეა.

შეურაცხყოფის ატანა მოუხდა პიკეს ნაკრებში გამომძახებელ ხულენ ლოპეტეგისაც, რომელმაც ვარჯიში ნაადრევად შეწყვიტა.

მადრიდული მედიის ინფორმაციით კი, ბარსელონასა და რეალის ცენტრალურ მცველებს, პიკესა და სერხიო რამოსს, შორის ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდა. მიზეზი კატალონიის დამოუკიდებლობისადმი მათი განსხვავებული დამოკიდებულებაა.

პიკესა და რამოსს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა არც არასდროს ჰქონიათ, მაგრამ ეროვნულ ნაკრებში ყოფნის დროს ისინი აცხადებდნენ, რომ კონფლიქტი არ არსებობს. ახლა კი, თუ ესპანურ პრესას დავუჯერებთ, რამოსმა პიკე ეროვნულ გუნდში განხეთქილების შეტანაში დაადანაშაულა და მათ შორის ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდა.

ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხულენ ლოპეტეგი პიკეზე საუბრობს:

– ამ თემაზე არაერთი ადამიანი საუბრობს, მე კი ფეხბურთელებს მათი ფორმისა და თამაშისადმი დამოკიდებულების მიხედვით ვაფასებ. ხერარდში ეჭვი არ მეპარება. ის გუნდის ისეთივე ნაწილი იქნება, როგორც დანარჩენები. ჩემი ცხოვრება ფეხბურთია, პიკე კი ესპანეთის ნაკრების სულის ნაწილია. არავის მივცემთ იმის უფლებას, რომ ჩვენი ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოს.

პიკეს ირგვლივ შექმნილ სიტუაციაზე ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის პრეზიდენტმა, ხუან ლუის ლარეამაც ისაუბრა:

– პიკე ესპანეთის ნაკრებს არ დატოვებს. ის გუნდთან დარჩება, თუ ტრავმას არ მიიღებს. ნაკრებში დაძაბული ატმოსფერო არაა. ამის შესახებ პრესაში წავიკითხე, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. პიკესა და რამოსს შორის ურთიერთობა ისეთივეა, როგორიც ადრე. პრობლემა არ არსებობს.

# უელსი საქართველოს უფროსის, საქართველოს მოტივაცია 3 ქულაა



უელსის ნაკრები საქართველოში ჩამოსასვლელად ემზადება, რათა საქართველოს ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრა გამართოს.

თბილისური მატჩი მათთვის, შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდეს. წარუმატებლობის შემთხვევაში უელსელები მუნდიალზე მოხვედრას გაირთულებენ.

საქართველოში გამომგზავრებამდე პრესკონფერენციაზე უელსელმა ნახევარმცველმა დევიდ ედვარდსმა ისაუბრა:

– ბეილის არყოფნა ნებისმიერი გუნდისთვის მძიმე დარტყმა იქნებოდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მის ადგილს სხვა ფეხბურთელები შეავსებენ. უელსის ნაკრები ახლა საუკეთესო ფორმაშია. საქართველოს ნაკრებთან სათამაშოდ თუ დრო მომეცემა, ბოლომდე გავიღებ ყველაფერს, რათა რუსეთში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოვხვდეთ. ეს შედეგი შესანიშნავი იქნებოდა ჩემი კარიერის დასასრულს. ვფიქრობ, საქართველოსთან თამაში კარდიფში ერთ-ერთი ყველაზე რთული იყო. ალბათ ისინი უფრო იმედგაცრუებულნი არიან, სამი ქულა რომ ვერ მოიპოვეს. საქართველოს ნაკრები ტექნიკური გუნდია და მათ წინააღმდეგ მატჩს მომზადებული უნდა შევხვდეთ. ეს იქნება მატჩი, სადაც ჩვენი საუკეთესო თამაში უნდა ვაჩვენოთ, რათა დადებითი შედეგი მივიღოთ.

თავის მხრივ, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებისთვის ემზადება. საწვრთნელ პროცესში ვლადიმირ ვაისის განკარგულებაში 25 ფეხბურთელი იყო. ამ ეტაპზე ეროვნულ ნაკრებში გამოძახებული ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა და ოფიციალური მატჩების მოლოდინშია.

თბილისის ზღვაზე მდებარე საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის საწვრთნელ ბაზაზე გამართული ვარჯიშის შემდეგ, ეროვნული ნაკრების წევრმა ნიკა კვეკვესკირმა მოახლოებულ მატჩებზე და ტრავმირებულ თანაგუნდელებზე ისაუბრა:

– სამწუხაროდ, ტრადიციად გვექცა საკვანძო ფეხბურთელების არყოფნა სანაკრებო თამაშების წინ. ჩემი აზრით, ისეთი დონის ფეხბურთელები, როგორიც თორნიკე ოქრიაშვილი, ჯანო ანანიძე და ლევან მჭედლიძე არიან, ნებისმიერი ევროპული ნაკრებისთვის დიდი დანაკლისია. რაც შეეხება მოტივაციას, ბოლო ოფიციალური თამაშია საკუთარ მოედანზე და ჯერჯერობით გამარჯვება არ გვაქვს. ასეთ სიტუაციაში რა შეიძლება იყოს მეტი მოტივაცია? ყველაფერს გავაკეთებთ გამარჯვებისთვის, – განაცხადა კვეკვესკირმა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობა უელსისა და სერბეთის წინააღმდეგ:

**მეკარეები:** გიორგი ლორია (ანჟი, რუსეთი), გიორგი მაკარიძე (მორეირენსე, პორტუგალია), ნუკრი რევიშვილი (დინამო თბ);

**მცველები:** ოთარ კაკაბაძე (ხიმნასტიკი, ესპანეთი), უჩა ლობჟანიძე (ატირაუ, ყაზახეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), სოლომონ კვერკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), ლაშა დვალი (პოგონი, პოლონეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გიორგი ნავალოვსკი (სკა ენერგია, რუსეთი), ლაშა შერგელაშვილი (რიგასი, ლატვია);

**ნახევარმცველები:** ნიკა კვეკვესკირი (ტობოლი, ყაზახეთი), ჯაბა კანკავა (უგუნდო), ვაკო გვილია (ბატე, ბელარუსი), გიორგი აბურჯანია (სევილია, ესპანეთი), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ), გიორგი მერებაშვილი (პლოცკი, პოლონეთი), ჯაბა ჯიღაური (ვარდარი, მაკედონია), გიორგი ჭანტურია (ურალი, რუსეთი), ოთარ კიტეიშვილი (დინამო თბ), ლუკას ჰუფნაგელი (ნიურნბერგი, გერმანია);

**თავდამსხმელები:** გიორგი ქვილითაია (რაპიდი, ავსტრია), ლადო დვალიშვილი (ატირაუ, ყაზახეთი), დავით სხირტლაძე (სილკებორგი,დანია), ირაკლი სიხარულიძე (ლოკომოტივი).

საქართველო-უელსის მატჩი, დინამო არენაზე 6 ოქტომბერს, 20 საათზე დაიწყება, ხოლო 9 ოქტომბერს უკვე სერბეთში ვითამაშებთ. ბელგრადული მატჩის დასაწყისი 22:45 საათია.

# მარკოიშვილისა და დიქსონის ექსიანები



ზაზა ფაჩულიას წასვლის შემდეგ საქართველოს ნაკრებს დიდი ალბათობით მანუჩარ მარკოიშვილი უკაპიტნებს, რომლისთვის სეზონი დაიწყო. მანუ იტალიის სერია ა-ს კლუბ რეჯიო ემილიას ღირსებას იცავს, რომელმაც პირველი ტურის მატჩი სტუმრად, აველინოსთან გამართა და დაძაბულ ბრძოლაში – 62:66 დამარცხდა.

ქართველი უკანახაზელი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 24 წუთში 6 ქულა, 4 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 2 პასი მიითვალა. მანუჩარმა 7-დან 2 სამქულიანი ჩააგდო, ორქულიანი ააცილა.

აღსანიშნავია, რომ მარკოიშვილის მოედანზე ყოფნის პერიოდში რეჯიო ემილიამ მასპინძლებზე 5 ქულით მეტი ჩააგდო და ეს, საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

მანუჩარის გუნდი მე-2 ტურის მატჩში პეზაროს უმასპინძლებს.

საფრანგეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მეორე გამარჯვება მოიპოვა მაიკლ დიქსონის სტრასბურმა. ქართული პასპორტის მქონე ამერიკელი კალათბურთელის გუნდმა შალონ-რეიმსს უმასპინძლა და 93:72 დაამარცხა.

დიქსონი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 22 წუთი გაატარა, რის განმავლობაშიც 6 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი და 3 ჩაჭრა მოაგროვა. მაიკლმა 9-დან 3 ორქულიანი ჩააგდო, 4 სამქულიანი კი ააცილა.

3 ტურის შემდეგ სტრასბურს 2 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში მე-3 ადგილზე იმყოფება. მომდევნო ტურში სტრასბურელები ლე მანს უმასპინძლებენ.

# საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები ევროპის თასზე იასპარეზებს



ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია ახალი ინიციატივით გამოდის და 2018 წლიდან ევროპის თასი გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას საქართველოს ნაკრებიც მიიღებს.

2018 წელს სადებიუტო შეჯიბრებაში ევროპის 14 საუკეთესო გუნდი მოსინჯავს ძალებს. ისინი წილისყრით სამ ჯგუფში გადანაწილდნენ:

**ა ჯგუფი:** უნგრეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, რუმინეთი, საქართველო;

**ბ ჯგუფი:** სერბეთი, ხორვატია, საბერძნეთი, ჰოლანდია, თურქეთი;

**ც ჯგუფი:** მონტენეგრო, იტალია, რუსეთი, გერმანია.

ჯგუფები 3 ქვეყანაში გაიმართება და მასპინძლები უნგრეთი, ხორვატია და იტალია იქნებიან. თასის გათამაშების დებულებით, შესარჩევი ეტაპი 15-18 თებერვალს გაიმართება.

ჩვენს ჯგუფში ყველაზე ძლიერი მეტოქე უნგრეთია, რომლებმაც წელს გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცხლის მედლები აიღეს. ძლიერი გუნდი ჰყავს ესპანეთსაც, ხოლო საფრანგეთთან და რუმინეთთან ბრძოლა შეიძლება.

ბრძოლა იმიტომ, რომ მეორე რაუნდში 5-გუნდიანი ჯგუფებიდან 3-3 საუკეთესო ითამაშებს, ხოლო 4-გუნდიანი ჯგუფიდან – 2. შემდეგ 8 ნაკრები ორ 4-გუნდიან ჯგუფში გადანაწილდება და 5-8 აპრილს წრიულად შეხვდებიან ერთმანეთს. ჯგუფებში საუკეთესოები თასის ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს, ხოლო მეორეადგილოსნები ბრინჯაოს მედლისთვის იბრძოლებენ.

ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციამ ქალთა და ვაჟთა გუნდებისთვის ფულადი ჯილდოებიც დააწესა. ტურნირის საპრიზო ფონდია 80.000 ევრო. ჩემპიონი 20.000-ს მიიღებს, ფინალისტი 15.000, ხოლო მესამე ადგილოსანი – 5.000. ევროპის ფედერაცია ყველა გუნდს მგზავრობის ხარჯებსაც აუნაზღაურებს.

კალეიდოსკოპი

## იაპონელი ბავშვების დაწყევლისთვის დააპატიმრეს



იაპონიის დედაქალაქ ტოკიოს მცხოვრები ტაკესი ინაბა დანაშაულებრივი მუქარისთვის მას შემდეგ დააკავეს, როდესაც მან სკოლის მოსწავლეები დაწყევლა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი იაპონური გამოცემა ავრცელებს.

41 წლის იაპონელმა ფეხით მოსიარულეთა ხიდზე ჩამოკიდა ვარა-ნინგე – ტრადიციული თივის თოჯინა, რომლის დახმარებითაც არასასურველ ადამიანს ჯადოს ადებენ და წყევლას უგზავნიან. მან თოჯინას მიამაგრა წერილი, რომელშიც ეწერა: „ყველანი ნაძირალები ხართ, ხიდიდან გადახტით და დაიხოცეთ."

ვარა-ნინგეთი პოლიცია დაინტერესდა. ინაბამ აღიარა, რომ მოსწავლეებისთვის ჯადოს გაკეთება სურდა.

– ეს ბავშვები, რომლებიც აქ დარბიან, მეტისმეტად ხმაურობენ, – განმარტა მან.

მანამდე ინაბამ 30-ზე მეტი საჩივარი გაუგზავნა ხმაურის გამო დაწყებით სკოლასა და მისი მოსწავლების მშობლებს. გარდა ამისა, პოლიციაში ვარაუდობენ, რომ წარწერები „ბავშვები ძალიან ხმაურობენ", რომლებიც პარკში სკამებსა და საზოგადოებრივ ტუალეტებშია გაკეთებული, მისივე ნახელავია.

## ლონდონის საზოგადოებრივი ტრანსპორტით კურდღელი მგზავრობს



ლონდონის მცხოვრებთა ყურადღება მიიქცია თეთრი ფერის კურდღელმა, რომელიც ქალაქის საზოგადოებრივი ტრანპორტით სეირნობს.

ჟურნალისტმა მეთ ჰეპბერნმა ტვიტერში გამოაქვეყნა ცხოველის ფოტოსურათი და მისთვის თანდართულ კომენტარში დაწერა: „ჩემ ავტობუსში კურდღელია".

ტვიტერის კიდევ ერთმა მომხმარებელმა ჯო დაფიმ აღნიშნა, რომ ცხოველი ლონდონის მეტროს მატარებელში შენიშნა, რომელიც ჰაკნის რაიონისკენ მიემართებოდა.

კიდევ ერთმა მგზავრმა დაადასტურა, რომ კურდღელი ჰაკნიში ნახა: „ვიფიქრე, ჰალუცინაცია მქონდა".

ჰეპბერნმა ცხოველის პატრონის მოძებნა მოახერხა. მისი თქმით, როლინგსტოუნის გიტარისტ კიტ რიჩარდს აგონებს.

– კურდღელი მოდუნდა და ასევე მისი პატრონიც. უბრალოდ, ორივე საკუთარი საქმით იყო დაკავებული, – განაცხადა ჰეპბერნმა.

## ბიბლიით შეშინებული მგზავრები მატარებლიდან ჩახტნენ



ერთ-ერთი მგზავრის გამო, რომელიც ბიბლიიდან ნაწყვეტების ციტირებას ახდენდა, ლონდონის მატარებლის მგზავრები პანიკამ მოიცვა. ამ ინფორმაციას ბი-ბი-სი ნიუსი ავრცელებს.

ინციდენტი დილის პიკის საათის დროს მოხდა, რკინიგზის სადგურ უიმბლდონის მახლობლად. ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით, მგზავრმა წარმოთქვა: „სიკვდილი – ეს ჯერ კიდევ არ არის დასასრული". ამან იქ მყოფნი შეაშინა.

როდესაც ვილაცამ მას სთხოვა გაჩერებულიყო და თანამგზავრები აღარ შეეშინებინა, მამაკაცი გაჩუმდა და თავი დახარა. თუმცა ამან ვერ უშველა და მატარებელში პანიკა დაიწყო. ხალხმა ვაგონის კარი გააღო და გაჩერებული მატარებლიდან გადახტომა დაიწყო.

პოლიციის განცხადებით, როდესაც მგზავრების ევაკუაცია დაიწყო, რკინიგზის ხაზზე დენი გამორთეს, არავინ დაშავებულა, თუმცა რამდენიმე საათის განმავლობაში მატარებლები შეფერხებებით მოძრაობდნენ.

## ჰიუ ჰეფნერის ქვრივმა მეუღლეს ამერიკის გმირი უწოდა



ჰიუ ჰეფნერის ქვრივმა კრისტალ ჰარისმა პირველად მისცა პრესას კომენტარი მეუღლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

– მთელი ამ დროის მანძილზე არ მქონდა იმის ძალა, რომ ადამიანებისთვის მადლობა გადამეხადა მათ მიერ გამოხატული მწუხარების და თანაგრძნობის გამო. ჩემი გული გატეხილია, – განაცხადა მან, – რაც მოხდა, დღემდე ვერ დამიჯერებია. ჩვენ მას შაბათს გამოვემშვიდობეთ. ის ახლა იქ არის, სადაც სამუდამოდ დარჩენა ყოველთვის სურდა.

– ის ამერიკელი გმირი იყო, – განაგრძო კრისტალ ჰარისმა, – გზამკვლევი. კეთილი გულის თავმდაბალი ადამიანი, რომელმაც საკუთარი ცხოვრება და საკუთარი სახლი მთელი სამყაროსთვის გახსნა. ვგრძნობდი, თუ რამდენად ძლიერად ვუყვარდი. მე მისი დიდი მადლობელი ვარ,

შეგახსენებთ, რომ კრისტალ ჰარისის და ჰიუ ჰეფნერის ურთიერთობა 2009 წელს დაიწყო, ხოლო ახალი 2012 წლის ღამეს დაქორწინდნენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

სპორტი

## მენოტი: „მესი შეუცვლელია"



არგენტინის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი სესარ ლუის მენოტი, რომელმაც „ალბისელესტეს" 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი მოაგებინა, ეროვნულ გუნდში ლიონელ მესის მნიშვნელობაზე საუბრობს.

სესარ მენოტი:

– ლას პალმასთან მატჩში მესიმ შესანიშნავი თამაში აჩვენა იმის მიუხედავად, რომ ტრიბუნებზე გულშემატკივრები არ იყვნენ. არგენტინის ნაკრებში რომ მესი არ იყოს, პერუსთან და ეკვადორთან გასამართ მატჩებზე გაცილებით მეტად ვინერვიულებდი. არგენტინაში ვერავინ აცნობიერებს, რამდენად ძლიერია მესი. ლეო 30 წლისაა და ის უკვე 12 წელია, მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავია. მჯერა, რომ ამ გადამწყვეტ მომენტში მესი, როგორც ყოველთვის, დაგვეხმარება.

შეგახსენებთ, არგენტინის ნაკრები, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის 16 ტურის შემდეგ 24 ქულით, მე-5 ადგილზეა, რაც გუნდს ფლეი ოფში მოხვედრის საშუალებას აძლევს. თუმცა, არგენტინელებს გარანტირებული ეს ადგილიც არ აქვთ. „ალბისელესტე" 6 ოქტომბერს პერუს უმასპინძლებს, 11 ოქტომბერს კი ეკვადორს ესტუმრება.

## მატიას ზამერი: „ბუნდესლიგის დონე არაადეკვატურია"



მიუნხენის ბაიერნის ყოფილი სპორტული დირექტორი მატიას ზამერი გერმანულ მედიასთან მიცემულ ინტერვიუში გერმანიის ჩემპიონატის შესახებ საუბრობს და აღნიშნავს, რომ ბუნდესლიგის დონე, სხვა წამყვან ევროპულ საფეხბურთო ჩემპიონატებთან შედარებით, მნიშვნელოვნად დაკნინებულია.

50 წლის სპეციალისტის განცხადებით, გერმანული საფეხბურთო კლუბები, მიუხედავად სოლიდური ფინანსური შესაძლებლობებისა, ვერ დემონსტრირებენ შესატყვის ფეხბურთს და სხვადასხვა ტურნირებზე ასპარეზობისას, ადეკვატურ კონკურენციას ვერ უწევენ მეტოქე გუნდებს.

**მატიას ზამერი:**

– ჩვენი კლუბები, ვეროპის ლიგაზე მარცხს განიცდიან ისეთ მეტოქეებთან, რომლებიც გაცილებით ნაკლებ ფინანსურ შესაძლებლობებს ფლობენ. როგორი იქნებოდა გერმანული ფეხბურთი, საერთაშორისო არენაზე მიუნხენის ბაიერნისა და დორტმუნდის ბორუსიას გარეშე?! სამწუხაროდ, მოცემულ მომენტში, ბუნდესლიგის დონე არაადეკვატურია.

შეგახსენებთ, ევროპის ლიგის ეგიდით გამართული ბოლო ტურის მატჩები კატასტროფული აღმოჩნდა გერმანული გუნდებისათვის. საფეხბურთო კლუბმა ჰოფენჰაიმმა მარცხი განიცადა ბულგარული ლუდოგორეცის წინააღმდეგ სტუმრად ჩატარებულ შეხვედრაში (1:2). კიოლნმა მინიმალური სხვაობით (0:1) დათმო შეხვედრა საკუთარ სტადიონზე, ცრვენა ზვეზდასთან, ხოლო ბერლინის ჰერტა, გასვლით შეხვედრაში დამარცხდა (0:1) შვედურ საფეხბურთო კლუბ ოსტერსუნდსთან.

## ტიმო ვერნერით გრანდები ინტერესდებიან



ინგლისური მედია საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს: ევროპული გრანდები ლაიფციგის ახალგაზრდა ფეხბურთელით ტიმო ვერნერით არიან დაინტერესებულნი. კერძოდ – მადრიდის რეალი, ბარსელონა და ლივერპული.

ბრიტანულ მედიაში იწერება, რომ ლივერპულის ხელმძღვანელობამ სკაუზერები უკვე გაუშვა გერმანიაში. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ რამდენად რეალურია ვერნერის ტრანსფერი ლივერპულში. თავად ფეხბურთელს აღნიშნულ სატრანსფერო ჭორთან დაკავშირებით ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია.

21 წლის ფორვარდი მშვენიერ ფორმაშია, მას მიმდინარე სეზონში 9 მატჩში 6 გოლი აქვს გატანილი, რაც ნამდვილად კარგი შედეგია.

დიდი ალბათობით ვერნერი იანვარში კლუბს დატოვებს, რადგან მისი გუნდი არც ისე კარგად ასპარეზობს ჩემპიონთა ლიგაზე. ლაიფციგს მხოლოდ 1 ქულა აქვს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე და მე-4 პოზიციას იკავებს, ისევე, როგორც ბუნდესლიგაში, სადაც 13 ქულით მე-4 ადგილზე იმყოფება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## ასტროპროგნოზი

### 5 ოქტომბერი



**ვერძი** – რთული დღეა. მოთმინება გმართებთ. საბოლოოდ მიზანს მაინც მიაღწევთ. **კურო** – საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. გამოიჩინეთ ინიციატივა და სიმტკიცე. **ტყუპები** – ყველასთან გულახდილი ნუ იქნებით. კეთილისმყოფელი დღეა მივლინებებისათვის, სამოგზაუროდ. **კირჩხიბი** – საქმიანი პარტნიორებისაგან ხელსაყრელ შემოთავაზებას ელოდეთ. იყავით მადლიერი. **ლომი** – ყველაზე ჩახლართული სიტუაციებიდანაც კი გამოსავალს იპოვით. ენერგიულად ხართ. **ქალწული** – დღეს ძალზე მნიშვნელოვანია ოჯახში ემოციური ატმოსფერო, რაც პირად ცხოვრებაში წარმატებას განაპირობებს. **სასწორი** – მოვლენები თქვენი გეგმის მიხედვით არ განვითარდება. გამოიჩინეთ კეთილგონიერება და მოთმინება. **ღრიანკალი** – ინტუიცია საკმაოდ გაგიმახვილდებათ. ნუ აჩქარდებით. საქმე დინჯად აკეთეთ. **მშვილდოსანი** – პოზიტიური დღეა. ჩანაფიქრის რეალიზაციას ბრწყინვალედ ახერხებთ. **თხის რქა** – დეპრესია გიტევთ. უსაქმოდ ნუ გაჩერდებით. ცდუნებას არ აჰყვეთ. **მერწყული** – მოულოდნელად მიღებული ინფორმაციის გამო გეგმები გეცვლებათ. ნუ იქნებით სუბიექტური. **თევზები** – დაეხმარეთ მეგობრებს, ახლობლებს, თუმცა საკუთარ საქმესაც ნუ დაივიწყებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად;** 1. ხორბლის ქართული ჯიში; 2. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 3. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 4. ხელჩართული ორთაბრძოლის ქართული სკოლა; 5. შენობის სახურავად გამოყენებული, თხელი, ნაპობი ფიცარი; 9. ისტორიული ციხე-ქალაქი ასპინძის რაიონში; 11. მოოქროვილი ვერცხლის ნაკეთობა; 12. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 14. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი; 16. უილიამ შექსპირის ტრაგედია; 19. დამანგრეველი ძალის მქონე ჭურვი.

**თარაზულად:** 4. ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი ქართველი მსახიობი მამაკაცი; 5. სახელმწიფო შუა-აზიაში; 6. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 7. ივნისის თვის ქართული სახელწოდება; 8. კუთხე საქართველოში; 10. რაიმე ზედაპირის ფართობის ერთეულზე მოქმედი ძალა; 13. კაზაკთა სოფლის სახელწოდება უკრაინაში; 15. ინდოელი მწერალი ნობელის პრემიის ლაურეატი; 16. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. ეკვადორის დედაქალაქი; 20. იაპონელთა ნაციონალური ტანსაცმელი; 21. ჩაის ფოთლის საგრეხი მანქანა; 22. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი; 23. სათეატრო ცეკვის ხელოვნება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ბეჟარი; 2. პიუზო; 3. სტადია; 4. კოპიჭი; 6. კანიონი; 9. ბანკო; 11. ბალასტი; 15. ნაფტალინი; 16. სესილი; 17. პასკვილი; 19. იურმალა; 21. საყდარი; 22. ვადუცი.

**თარაზულად**: 5. გენლაინი; 7. არაბიკა; 8. ოპტიკა; 10. კანტონი; 12. ჭიუხი; 14. ატკინსონი; 18. „სააბი"; 20. ფესახი; 23. ბაჩანა; 24. ყუმი; 25. ყულევი; 26. ცანა; 27. „კრახუნა".

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. პასტიჩო; 2. რეზერვატი; 3. ფეთხაინი; 4. ბრავადა; 5. წიქარა; 9. ფესახი; 11. „სუფრული"; 12. იაკუძა; 14. ქურხული; 18. აშარი; 19. დასტა.

**თარაზულად**: 4. ბორანო; 5. წერეთელი; 6. ჟესტი; 7. პალიტრა; 8. მესეფი; 10. ლხასა; 13. ჩაქურა; 15. ვერსია; 16. ნერო; 17. ცანა; 20. ხილარი; 21. ჰაშიში; 22. კარტელი; 23. „ტვენტე".

## ნიკა ქავთარაძე: „მთელი ფული მომპარეს“



იუმორისტი ნიკა ქავთარაძე გაქურდეს. შემთხვევა ორი დღის წინ მოხდა.

ინფორმაცია ქურდობის შესახებ და გაჭრილი ჩანთის ფოტო ნიკა ქავთარაძემ სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა:

– ხელფასი ავიღე. ვაგზალზე საქმე მქონდა. გამოსვლისას ფული დავახურდავე ბინის ქირისთვის. ჩავედი მეტროში. რუსთაველზე ამოვედი, ვიფიქრე მაკში შევივლი და ქეთის ბურგერებს ვუყიდი-თქო. ჩავყავი ხელი, გამიკვირდა, ფული რომ არ იყო. მეთქი, სხვა ჯიბეში ხომ არ ჩავდე და უცებ ამას ვხედავ...?მთელი ფული მომპარეს... ჩავიკეცე და ტირილი ამივარდა... ესეც ჩემი დაბადების დღის საჩუქარი... არ ვიცი, ეს თუ როდესმე მორჩება...

## ნინო ჩხეიძეს თბილისობაზე არ ამღერებენ



მოახლოვდა თბილისობის დღესასწაული და მომღერლებში კვლავ გააქტიურდა ე.წ. შავი სიები და ორგანიზატორების მიერ მათი დაბლოკვის თემა.

წელს თბილისობის კონცერტის მიღმა დარჩნენ ვერიკო ტურაშვილი, სოფო ნიჟარაძე, ნინო ჩხეიძე, ლელა წურწუმია...

მომღერალი ნინო ჩხეიძე აცხადებს, რომ სანამ პრესაში მომღერლების სია გამოქვეყნდებოდა, იგი თავის მობილურ ტელეფონზე თბილისობის ორგანიზატორებისგან ზარს ელოდებოდა:

– სანამ პრესაში გამოქვეყნდებოდა მომღერლების სია, მორჩილად ველოდებოდი ზარს ჩემს მობილურზე, მაგრამ ამაოდ.?დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს ქალაქს, ჩემს ხალხს და ჩემს თაყვანისმცემლებს, ადამიანებს, ვისაც მოსწონს ჩემი ნამღერი სიმღერები, გაუხარდებოდათ ჩემი დანახვა თბილისობის კონცერტზე.

ამ პოსტსაც იმიტომ ვწერ, რომ უმტკივნეულოდ დავაფიქსირო ჩემი მოკრძალებული აზრი „მუდმივი არაფერია სამყაროში, სიყვარულის გარდა“. ჩახედეთ ყველამ თქვენს გულებს, გადაამოწმეთ თქვენი ფიქრი და ნაბიჯიც შესაბამისი გადადგით.?

გულწრფელად ვულოცავ ჩემს ქალაქს წინასწარ თბილისობას და ყველა ჩემს კოლეგას ვუსურვებ წარმატებას როგორც საქმეში, ასევე პირად ცხოვრებაში. მუდამ თქვენი ნინო ჩხეიძე.“

## „რუსთავი 2“-მა კარგი მზარეულებისთვის ფულადი პრიზი დააწესა

ტელეკომპანია „რუსთავი 2“ სულ მალე ახალ შოუს დაიწყებს.

„ჩემი სამზარეულოს წესები“ – ასეთია ახალი გადაცემის სახელწოდება, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, ვინც თვლის, რომ კარგი მზარეულია.

პროდიუსერი დავით იმედაშვილი შოუსთან დაკავშირებით შესარჩევი კონკურსის გამოცხადებას აანონსებს და მონაწილეებს საკმაოდ ორიგინალური ხერხით იწვევს:

– თუ თქვენ ხართ კარგი მზარეულები, თუ გიოცნებიათ საკუთარი რესტორნის გახსნაზე, თუ თქვენ ხართ ცოლ-ქმარი ან ყოფილი ცოლ-ქმარი, დედა-შვილი, მამა-შვილი, და-ძმა, ბებია-შვილიშვილი, ბაბუა-შვილიშვილი, რძალ-დედამთილი ან ყოფილი რძალ-დედამთილი, სიძე-სიმამრი ან ყოფილი სიძე-სიმამრი, რძალ-მული ან ყოფილი რძალ-მული, შეყვარებულები ან ყოფილი შეყვარებულები, ან უბრალოდ მეგობრები, მაშინ ეს გადაცემა თქვენთვისაა!!! გაიარე რეგისტრაცია რუსთავი 2-ის ვებ გვერდზე, მიიღე „ქასთინგში“ მონაწილეობა და მოიგე ფულადი პრიზი საკუთარი რესტორნის გასახსნელად!

## ცხინვალის თეატრი უმძიმეს მდგომარეობაშია

ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის თეატრი უმძიმეს მდგომარეობაშია. თეატრის თანამშრომელი რუსკა გელაძე იმ შენობის ფოტოებს ავრცელებს, სადაც მათ მუშაობა უწევთ:

– როგორც ყოველთვის, კიდევ ერთხელ დიდი ანშლაგით ჩაიარა რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე, ცხინვალის თეატრის სპექტაკლმა „კვაჭი“. მქუხარე აპლოდისმენტებისა და „ბრავო“-ს შეძახილის ფონზე, დიდხანს არ უშვებდა აღფრთოვანებული მაყურებელი მსახიობებს სცენიდან. მაყურებელი, რომელიც ვერც კი წარმოიდგენს, რა პირობებში უწევს დღეს თეატრს ფუნქციონირება. ვერ წარმოიდგენს, რადგან ეს დაუჯერებელია...

ეს, იმ შენობის ფოტოებია, სადაც დღეს ცხინვალის თეატრია განთავსებული. ამ შენობაში ხდება დეკორაციის, რეკვიზიტის და კოსტიუმების მოწესრიგება ყოველი დაგეგმილი სპექტაკლისთვის. ხოლო მსახიობები, სპექტაკლის დაწყებამდე გადარბენით გავლილი რეპეტიციის ფონზე, მაინც ახერხებენ ღირსეულად წარდგნენ ერთგული მაყურებლის წინაშე.

ერთი კვირის წინ, ხუმრობით დავდე ჩაფხუტით გადაღებული ფოტოები. ხუმრობით იმიტომ, რომ მეგონა, ეს დროებითი ამპლუა იყო:

– ჩაფხუტებმა არ დაგაბნიოთ!!! არ შეგვიცვლია პროფესია. ისევ თეატრში ვმუშაობთ. უბრალოდ, სიცოცხლის უსაფრთხოების მიზნით, ამ ფორმით გვიწევს მუშაობა.

მსახიობებს დიდი ხანია შენობაში აღარ უშვებენ, მხოლოდ ტექნიკურ პერსონალს, მაგრამ დღეს ესეც შეუძლებელი გახდა... შესასვლელ კარში მუშები გადაგველობნენ და იძულებულები გავხდით, შენობის უკან მდებარე სათადარიგო კიბით, მეორე სართულიდან, ლაბირინთებით მიგვეღწია ოთახამდე. იქ კიდევ ახალი სიურპრიზი დაგვხვდა... დენი გაგვითიშეს და მობილური ტელეფონის მბჟუტავი ფარნის ფონზე მოგვიწია კოსტიუმების და რეკვიზიტის მიბინავება.



ყელში დიდი ბურთი მაქვს გაჩხერილი და მინდა ხმამაღლა ვიყვირო მათ გასაგონად, ვისაც ეს ეხება და ევალება.

ეს, ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრია!!! ერთადერთი გადარჩენილი კერა ცხინვალის რეგიონიდან...

## ფიტარეთში საკურთხევლის სახურავი კაპიტალურად შეკეთდება

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ფიტარეთის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს, რომელიც ტაძრის ლორფინის სახურავის ნაწილის რეაბილიტაციას გულისხმობს.

სამუშაოები საკურთხევლის სახურავის კაპიტალურ შეკეთებას მოიცავს. გადახურვის კონსტრუქციის ეს სეგმენტი იმ კრიტიკულ ნაწილს წარმოადგენს, საიდანაც ტაძრის ინტერიერში ნალექი ჩაედინებოდა და კედლის მხატვრობა ზიანდებოდა. საკურთხევლის ორფერდიან სახურავზე ჩატარებული რეაბილიტაციის შედეგად, ადგილზე მოეწყობა მთლიანად ახალი ლორფინის სახურავი, რომელიც ატმოსფერული ნალექებისაგან ტაძრის გრძელვადიანი დაცვის გარანტია იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ ფიტარეთის ეკლესიის პირველი ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები საკურთხევლის გადახურვასთან ერთად, ჩრდილოეთ ნავის ორფერდა სახურავის კაპიტალურ შეკეთებასაც მოიცავდა, სარეაბილიტაციო პროცესის დროს გამოვლენილმა ნაკლოვანებებმა მისი კაპიტალური აღდგენის შესაძლებლობა მომავალი წლისთვის გადაავადა. ხარვეზები კი გასული საუკუნის 70-იან წლებში ფიტარეთის ეკლესიაზე ჩატარებული რეაბილიტაციის დროს დაშვებულ შეცდომებს უკავშირდება. აღმოჩნდა, რომ ტაძრის სახურავის არსებული ქვის ბურული მხოლოდ იმიტაციაა ლორფინის, რადგან ქვის ფილებს არ გააჩნია ლორფინის სახურავისთვის დამახასიათებელი წყლის ამრიდებელი წიბოები, ხოლო სახურავის ღილვებს კი ჩამკეტის ფუნქცია. ისინი მხოლოდ დუღაბის ხსნარით იყვნენ დაწებებული, რაც ტაძარში წყლის შეუფერხებელ ჩადინებას იწვევდა. ამავდროულად, გამოვლინდა გადახურვის მზიდი კონსტრუქციის არასახარბიელო მდგომარეობაც. ის ძლიერ არის



დაშლილი და მნიშვნელოვანი ზომის ბზარები აღენიშნება. არქიტექტორ-რესტავრატორების დასკვნის მიხედვით, გადახურვის მზიდი კონსტრუქცია, რომელიც თაღოვანი არაა და დაყრდნობილია საკურთხევლის თაღზე დაშენებულ 4 სვეტზე, გამაგრებას საჭიროებს.

ჩრდილოეთ ნავის დაზიანებულ ორფერდა სახურავს რესტავრატორები დროებითი ჰიდროსაიზოლაციო საშუალებებით დაიცავენ, რაც ფიტარეთის სრულმასშტაბიანი რეაბილიტაციის პროექტამდე ტაძარს ნალექებისაგან დაიცავს.

ფიტარეთის ეკლესიის სახურავის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები 2018 წლის გაზაფხულიდან დაიწყება და მომდევნო წლის ბოლომდე დასრულდება. ამ სამუშაოების განხორციელების შემდეგ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მე-13 საუკუნის ეკლესიის კედლის მხატვრობის კონსერვაციის პროცესის დაწყებასაც გეგმავს, რომელშიც თბილისის სამხატვრო აკადემიის კონსერვატორ-რესტავრატორების ჯგუფი ჩაერთვება. ამჟამად სააგენტოში მხატვრობის კონსერვაციის პროექტს ამზადებს. მისი განხორციელების ვადად კი სავარაუდოდ 2019 წელი განისაზღვრება.

## მაგდა ვასაძე საკონცერტო სერიას იწყებს




მომღერალ მაგდა ვასაძის შემოქმედებაში სიახლეა. იგი ახალ ჯგუფთან ერთად ახალ საკონცერტო სერიას იწყებს.

„ფაივ“ (ხუთი) – ასე ეწოდება ჯგუფს, რომელიც ხუთი წევრისგან შედგება:

– ჩემო უსაყვარლესო მეგობრებო, კიდევ ერთი სიახლით დავბრუნდი. ამიერიდან ბენდი თჰე ფაივ და მე, თავბრუდამხვევი პროგრამით, კონცერტების, ივენთებისა და საღამოების ახალ სერიას ვიწყებთ. წინ საინტერესო და სიურპრიზებით სავსე გზაა. მოკლედ, გელოდებით ყველგან და ყველას და, რაც მთავარია, მადლობა! ყველას, ვინც მგულშემატკივრობდა, მგულშემატკივრობს და მიგულშემატკივრებს! მე თქვენ მიყვარხართ!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

### სპორტი

## პაულინიომ ნეიმარს ტრავმა მიაყენა



ბრაზილიის ნაკრების ვარჯიშზე ბარსელონას ფეხბურთელმა პაულინიომ ნეიმარს ერთ-ერთ ეპიზოდში მცირე ტრავმა მიაყენა, რის შემდეგაც ნეიმარმა მოედანი დატოვა, თუმცა მისი ტრავმა სერიოზული არ არის.

სოციალურ ქსელებში ბევრი სახუმარო პოსტი დაიდო იმასთან დაკავშირებით, რომ პაულინიომ ნეიმარი ბარსელონადან წასვლის გამო დასაჯა.

ასეთი მოსაზრება ბარსელონას გულშემატკივრებში საკმაოდ პოპულარულია. პაულინიო ბარსელონაში ჩინური გუანჟოუდან გადავიდა და ამ გუნდის მაისურით უკვე ორი გოლის გატანა მოახერხა.

## ბარსელონა ზამთარში კოუტინიოს ტრანსფერს მიუბრუნდება



კატალონიურ პრესაში ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზამთარში ბარსელონა ისევ შეეცდება ლივერპულის ბრაზილიელი შემტევის ფილიპე კოუტინიოს შეძენას. შეგახსენებთ, რომ ზაფხულში ბარსელონა ახლოს იყო იმასთან, რომ კოუტინიო კატალონიური გუნდის ფეხბურთელი გამხდარიყო, მაგრამ საბოლოოდ ტრანსფერი არ შედგა.

ლივერპული კოუტინიოს ტრანსფერში 150 მილიონ ევროს ითხოვს და ბარსელონა, სავარაუდოდ, ამ თანხის გადახდაზე ყაბულს იქნება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## პროგრამა

### ხუთშაბათი 5 ოქტომბერი

**06.00** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **06.30** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა მორგან ფრიმანთან ერთად **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მხიარული ფერმა" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00, 02.20** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "არჩევნები" **14.00, 03.20** დღის მხ/ფ "**ვატერლოოს ხიდი**" (რ.ტეილორი) **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30, 05.20** "ტელებლოგი" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** დოკ/ფ "თოფ-გიარი" **22.00** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **23.00** მხ/ფ "**სოლტი**" (ა.ჯოლი) **00.40** მხ/ფ "**ანდერგრაუნდი.ჯულიან ასანჟის ისტორია** "

**ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ გთავაზობთ.**

**06.30, 16.00** სერ. "**ტყუილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.50** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სპორტი იმედზე **00.30** მხ/ფ "**უწმინდურები**" **02.15** მხ/ფ "**სიყვარული ინგლისურად**" **04.05** მხ/ფ "**კარგი ტყუილი**"

**06.00, 18.50** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" **22.00** პროფილი **23.30** გააცინე და მოიგე **01.30, 02.30** მხ/ფ **03.15** კურიერის დაიჯესტი **04.30** მხ/ფ

**08.00** ან/ფ "ატომი" **09.00, 19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი-2**" **11.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები-2**" **13.00, 15.00** სერ. "**ძვლები 8-9**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება: საძღვარგარეთ**" **21.00** სერ. "**სპირალი 3**" **22.30** სერ. "**ბორჯია**" **00.30** მხ/ფ "**წვეულება ვეგასში**" **02.20** მხ/ფ "**წვეულება 2: ვეგასიდან ბანგკოკში**" **04.00** მხ/ფ "**წვეულება 3**" **05.45** მხ/ფ "**ფლეზენთვილი**"

**08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.20, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 00.40, 01.00** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.10** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.45** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.00** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** სახალხო კონტროლი **00.00** სერ. "**შავი სია**" **3.45** ცენზურის გარეშე

**06.15** ქრისტიანული ხელოვნება "ქართული ჭედური ხელოვნება" **06.25** მუს. პაუზა **06.40** პატერიკი-"როგორ შესაწირს შეიწყნარებს უფალი" **06.45** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია-"გორის მუზეუმი-ბრინჯაო" **07.25** ქართული ალბომი **07.50** სამყაროს შექმნა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-ნიანგებზე ნადირობა" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** შარავანდედი-"სანდრო ახმეტელი, გიორგი ახვლედიანი" **10.40** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**გიორგობის თვე**" **13.20** ან/ფ "სად არის ნემო" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** ტრაპეზი "ქათმის ფილე სალათით-წიწიბურის ბურთულები" **15.35** ქრისტიანული ხელოვნება "ქართული ჭედური ხელოვნება" **16.15** დ/ფ "უდროობის გმირი-არზაყან ემუხვარი" **18.10** ერთხელ ბავშვობაში "გიორგი ბაქრაძე" **18.40** ძველი ათქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ჩემი ბოშები**" **20.40** ძილი ნებისა "ილია II" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** დ/ფ "დიდი ატენის სიონი" **22.20** ჩვენი საგანძური "ოქონის ვედრების სპილოს ძვლის ხატი" **22.35** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. მხ/ფ "**ფეოლა**" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** ტალანტები და თაყვანისმცემლები "ელისო ვირსალაძე" **01.30** მხ/ფ "**ვერის უბნის მელოდიები**"

მაესტრო **10.00 - 23.00** ახალი ამბები - მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.12 - 03.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 17.30 - 03.30** ბიზნესი (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.45- 03.45** ტექნოლოგიები (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.48 - 03.50** სპორტი (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**5 ოქტომბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.4764 | ევრო — 2.9075 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2941 | 100 რუსული რუბლი — 4.2743 |

## ამინდის პროგნოზი 5 ოქტომბრისთვის





## 3 ოქტომბრიდან




იორამ ჩადუნელი

# საზღაური

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 28 სექტემბრიდან

მანანა ხვედელიძე

# ძველი ეგვიპტის ენციკლოპედია




ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი


## პარიზში ივ სენ-ლორანის მუზეუმი გაიხსნა



პარიზში ახლახან ივ სენ-ლორანის მუზეუმი გაიხსნა დამთვალიერებლებისთვის. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ფრანგული საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

სახლი, რომელიც მარსო ავენიუს 5 ნომერში მდებარეობს და რომელშიც 30 წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ცნობილი კუტურიე, მუზეუმად ივ სენ-ლორანის მეგობრის და პარტნიორის პიერ ბერჟეს ხელმძღვანელობით გადაიქცა, რომელიც მიმდინარე წლის 8 სექტემბერს გარდაიცვალა. ამჟამად აქ თავმოყრილია მოდელიერის პირადი ნივთები, მათ შორის ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ისინი 2008 წელს მისი გარდაცვალების დროს იმყოფებოდნენ (სათვალეები, რომლითაც ის მუშაობდა, კოფთა, რომელიც სკამის საზურგეზეა მიგდებული, ესკიზები და კატრინ დენევის ფოტოსურათი).

თავად კუტურიეს ნივთების გარდა, მუზეუმში შესაძლებელია მის მიერ შექმნილი ჩასაცმელების ფოტოსურათების, კოლექციების ესკიზების ნახვა. ივ სენ-ლორანის მეორე მუზეუმი მაროკოში მარაკესში 2017 წლის 19 ოქტომბერს გაიხსნება.

## ჯასტინ ბიბერი სახლს ვერ ქირაობს



მომღერალი ჯასტინ ბიბერი ბევერლი-ჰილზში სახლის დაქირავებას ვერ ახერხებს, იმის მიუხედავად, რომ მზად არის თვეში 100 ათასი დოლარი გადაიხადოს.

სახლების მფლობელები უარს ამბობენ, მომღერალს საცხოვრებელი მიაქირავონ, ვინაიდან მათთვის ცნობილია მისი ჩვევის შესახებ, რომლითაც ის ბინას საშინელ მდგომარეობაში აგებს. როგორც ერთ-ერთ ადგილობრივ გამოცემას მომღერალთან დაახლოვებულმა პირმა განუცხადა: „ჯასტინს დიდი სახლის დაქირავება სურს, მაგრამ ბევერლი-ჰილზში მდებარე ბინების მფლობელების უმრავლესობა შეთანხმდა, რომ მას საცხოვრებელს არ მიაქირავებენ.

ამჟამად მომღერალი ერთ-ერთ ადგილობრივ სასტუმროში ცხოვრობს და უკვე თითქმის ერთი წელია საცხოვრებელ ბინას ეძებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## იუმორი

მამაკაცი კარგი რეკომენდაციით, მაგრამ ნერვული თვალის პაჭუნით სამსახურში მოწყობას ცდილობს. მენეჯერი ეუბნება:

– მაპატიეთ, მაგრამ ვერ მიგიღებთ. თქვენ კლიენტებთან გექნებათ ურთიერთობა, ამ დროს კი წამდაუწუმ თვალებს აპაჭუნებთ.

– არ არის პრობლემა, ორ აბ ასპირინს დავლევ და მთელი დღე აღარ ვაპაჭუნებ თვალებს.

ამ სიტყვებით ხელი ჯიბეში ჩაიყო და იქიდან ერთი მეორის მიყოლებით იღებს სხვადასხვა ფორმის და ფერის პრეზერვატივებს. შემდეგ ასპირინიც ამოიღო, ორი აბი გადაყლაპა და მართლაც, თვალების პაჭუნი შეუწყდა.

ამჯერად მენეჯერი ეუბნება:

– კარგად გამიგეთ, ჩვენ შესანიშნავი რეპუტაციის დაწესებულება ვართ. თქვენ კლიენტებთან მოგიწევთ ურთიერთობა, მე კი, როგორც ვხედავ, მორალის მხრივ საქმე არც მთლად რიგზე გაქვთ.

– რას ამბობთ! ცოლი და ორი შვილი მყავს. მაგრამ თუ თქვენ ამათ გულისხმობთ, – პრეზერვატივების გროვაზე მიუთითებს, – აბა ერთი სცადეთ და აფთიაქში ასპირინი თვალების პაჭუნით მოითხოვეთ.

•••

ხალხით სავსე ავტობუსში, უცბად გოგონას ხმა ისმის:

– ახალგაზრდავ, რატომ მეტმასნებით, თქვენ რა, გინდივართ?

– არა.

– მაშინ გაიწიეთ, იქნებ სხვას ვუნდივარ!

•••

ორი ქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– პირდაპირ აღფრთოვანებული ვარ ჩემი დაქალით!

– რა მოხდა?

– ასეთი ერთგული ქალი მეორე არ მეგულება.

– მართლა?

– ჰო! უკვე მეოთხედ გათხოვდა, მაგრამ საყვარელი ისევ ის ყავს...

•••

კაცმა ცოლს საყვარელთან შეუსწრო, დაიჭირა საყვარელი და უმოწყალოდ სცემს. ამ დროს ცოლი ეუბნება:

– არ მოკლა კაცო, ეგ ხომ შენი შვილების მამაა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 5 ოქტომბრიდან




# რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი


## სერხიო აგუერომ შესაძლოა ორი თვე გამოტოვოს



მანჩესტერ სიტის ფორვარდი სერხიო აგუერო პარასკევს ამსტერდამში ავარიაში მოყვა, რის გამოც მან გარკვეული დაზიანებები მიიღო.

ინციდენტის დროს აგუერო საჭესთან არ იჯდა და ავარია მისი ბრალი არ ყოფილა.

ამჟამად არგენტინელი ფორვარდი მანჩესტერში იმყოფება და რეაბილიტაციის კურსს გადის. ექიმების დიაგნოზის თანახმად, აგუერო დაახლოებით 2 თვეს გამოტოვებს და მისი არყოფნა მანჩესტერ სიტისთვის უდავოდ დიდი დანაკლისი იქნება.

აგუერო ასევე ვერ დაეხმარება არგენტინის ნაკრებს, რომელსაც წინ ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები ელის.

## რეალი ჰარი კეინის შეძენას აპირებს



მადრიდის რეალი ახალი ფორვარდის ძიებაშია, რადგან გარეტ ბეილი და კარიმ ბენზემა საკმაოდ ხშირად იღებენ ტრავმებს. მადრიდელების მთავარი სამიზნე ტოტენჰემის ფორვარდი ჰარი კეინია, რომელიც ამჟამად ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდად ითვლება.

რეალი მზად არის, კეინის ტრანსფერში 200 მილიონი ევრო გადაიხადოს, თუმცა ტოტენჰემი თავისი მთავარი ფორვარდის ადვილად დათმობას არ აპირებს.

ტოტენჰემის მფლობელებმა უკვე არაერთი განცხადება გააკეთეს იმის თაობაზე, რომ კეინის გაყიდვა მათ გეგმებში არ შედის.

ჰარი კეინი ტოტენჰემის აკადემიის აღზრდილია და ის ახალგაზრდული ასაკიდან ამ გუნდის ღირსებას იცავს.

## კარლო ანჩელოტი სავარაუდოდ იტალიურ გუნდს გაწვრთნის



კარლო ანჩელოტი ბაიერნიდან წასვლის შემდეგ ფეხბურთისგან რამდენიმე თვით დასვენებას აპირებს, შემდეგ კი მის გეგმებში იტალიაში დაბრუნება შედის.

ანჩელოტიმ აღიარა, რომ მას სამშობლოში მუშაობა მოენატრა და იტალიაში სიამოვნებით დაბრუნდება.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელ გუნდში გააგრძელებს კარლო თავის სამწვრთნელო კარიერას, მაგრამ ბევრი თვლის, რომ ანჩელოტი მილანს ჩაუდგება სათავეში.

მილანში ანჩელოტი უკვე მუშაობდა და 2003 წელს მან მილანთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგებაც შეძლო. ფეხბურთელობის დროს კარლო ასევე მილანის ღირსებას იცავდა, ამიტომ მისთვის ეს გუნდი უცხო არ არის.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ბანკის მევალეთა სარეგისტრაციო დავთარი; 2. პირველი გერმანული ოპერა; 3. ფულის ერთეული უკრაინაში; 4. ნახშირბადის შემცველი მტკიცე ლითონი; 6. ამაღლებული სცენა მოდების ჩვენებისთვის; 9. სამხედრო ტექნიკის მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. მონასტერი სტეფანწმინდას რაიონში; 15. ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში; 16. უბანი ძველ თბილისში; 17. მდინარე აშშ-ში; 19. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 21. თეთრეულის, ტანსაცმლის მოსართავად გამოყენებული ორნამენტებიანი, თხელი, ბადურა ქსოვილი; 22. ამერიკელთა მეტსახელი ლათინურ ამერიკაში.

**თარაზულად:** 5. ქართველი მოქანდაკე ქალი; 7. ძვირფასი სარეწაო თევზი; 8. მთიანეთი ევროპაში; 10. პეკინის მეორე სახელწოდება; 12. ღვინის დანალექი; 13. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 14. ქრისტიანული ღვთისმეტყველების მოკლე გადმოცემა სიტყვა-პასუხის სახით; 18. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება; 20. იტალიელი კინორეჟისორი; 23. ძველებური მექანიკური საკრავი; 24. ეგრისის მეფე; 25. პოპულარული ზამთრის კურორტი შვეიცარიაში; 26. თიხისა და თაბაშირის გამომწვარი ნარევი; 27. რაიმეს შესწავლა-გამოკვლევა მისი ნაწილებად დაშლის გზით.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*